საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 77 (621) ხუთშაბათი, 15 აპრილი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი

ნუხელ შეგიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 12 აპრილს 18 საათისათვის მდინარე გუმისთასთან მოწინააღმდეგემ ნაღმსატყორცნებიდან ინტენსიური ცეცხლი გაუხსნა ქ. სოხუმის ახალ რაიონს. ჭურვების აფეთქების შედეგად დაიჭრა 6 მოქალაქე, მათ შორის სამი ბავშვი.

ღამით და 13 აპრილის დილით მშვიდად ჩაიარა, ისმოდა მხოლოდ ავტომატების სროლის ხმა. მასშტაბური საბრძოლო მოქმედება არ ყოფილა.

18 საათისათვის მდინარე გუმისთაზე მოწინააღმდეგე საგრძნობლად გააქტიურდა და გახსნა საარტილერიო ცეცხლი, როგორც ჩვენი პოზიციების, ასევე ქ. სოხუმის სამოქალაქო ობიექტების მიმართულებით. თავდაპირველად მათ დაბომბეს სოხუმის საზღვაო პორტი, რომელშიც შემოდიოდა სატვირთო გემი „სალხინო".

დაბომბვას მსხვერპლი და დაზიანება არ მოჰყოლია. ჭურვები ძირითადად ზღვაში ფეთქდებოდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალები იძულებული გახდნენ მოწინააღმდეგისათვის ცეცხლითვე ეპასუხათ და ჩაეხშოთ მათი საცეცხლე წერტილები.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, საპასუხო საომარი მოქმედების შედეგად მოწინააღმდეგეს დაეღუპა 12 და დაეჭრა 28 მეომარი.

20 საათისათვის მოწინააღმდეგემ ცეცხლი გახსნა შრომა-კამანის მიმართულებითაც. სოფელ შრომაში საარტილერიო დაბომბვის შედეგად დაიჭრა 5 მშვიდობიანი მცხოვრები და ერთი მებრძოლი. საპასუხო საარტილერიო ცეცხლის შედეგად მოწინააღმდეგემ სროლა შეწყვიტა.

ღამით მდინარე გუმისთაზე მშვიდად ჩაიარა.

იოსებ გოგეჩია.

●

ოჩამჩირე. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა საქართველოს რესპუბლიკის ენერგეტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ იური პედიამ, მიღწეულია მორიგება აფხაზთა მხარესთან ოჩამჩირე-კინდღის უბანზე ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შესახებ. სამუშაოთა დასრულებას ენერგეტიკოსები 15 აპრილის ღამისთვის ვარაუდობენ, რაც შესაძლებელს გახდის შეუფერხებლად მიაწოდონ ელექტროენერგია ქალაქებს სოხუმსა და ტყვარჩელს.

●

ზუგდიდი. ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიის ჩაის მეურნეობის ექსპერიმენტულ ჩაის ფაბრიკას თავს დაესხა მუთი ბოროტმოქმედი, რომელთაგან ორი შეიარაღებული იყო ავტომატით, ერთი — ხელყუმბარით და ორი — გადაჭრილი თოფით. თავდამსხმელებმა იარაღის მუქარით ცეხში მყოფ მუშებს აიძულეს ჩაით დაეტვირთათ „კამაზის" მარკის ორი ავტომანქანა. მათ გაიტაცეს ჩვიდმეტი ტონა მზა პროდუქცია.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი. მოვლენა. კომენტარი

საქართველო ჩემი სამშობლოა...

სიმღერა ათბობს დამზრალ სულს

სიმღერა მუდამ იყო ქართველი კაცის მეგზური პირსა და ლხინში. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ძნელია აფხაზეთის გადამწვარი სოფლების, დანგრეული სახლებისა თუ კულტურის კერების მნახველი კაცი სიმღერის გუნებაზე დადგეს. მაგრამ მებრძოლთა გასამხნევებლად, ნაწვევებისა და ქალების სანუგეშოდ, მაინც ახერხებენ სიმღერას ხელოვნების მუშაკები.

— თვალებს ცრემლი უსველებთ, მაგრამ მაინც მღერიან ჩვენი საესტრადო ანსამბლის სოლისტები ინგა კუმულარია, თემურ ჯიქელავა, ელონა ხვანძე, ედუარდ ფაღავა, ნანა ხვანძე, სოფიკო ჩხეტია, ნინო ბიგვავა, დათო ლაგვილავა და სხვები, — თქვა ოჩამჩირის კულტურის განყოფილების გამგემ ვიოლეტა აკიშბაიამ. — დაე, სიმღერამ ჩაახშოს ავტომატის კაკანი. შინაარსიანი საკონცერტო პროგრამით წარდგა ამ დღეებში მებრძოლების წინაშე ოჩამჩირის საესტრადო ანსამბლი გიორგი მიქაბერიძის ხელმძღვანელობით. პატრიოტულმა სიმღერებმა, ნორჩი დეკლამატორების მგზნებარე ლექსებმა ომით გადაქანცულ ბიჭებს მშვიდობიანი საღამოს ხიბლი განაცდევინა. ამ საამოვნებას არც მოხალისე მოუკლებოთ მებრძოლებს და ფრონტის წინა ხაზზაც ხშირად ვესტუმრებით.

ეხმარებიან მშობლიურ რაიონს

აფხაზეთში გაჩაღებულმა საომარმა მოქმედებამ მძიმე ეკონომიკური ვითარება შეუქმნა ოჩამჩირის რაიონს. ამის მიუხედავად, საწარმოთა შრომითი კოლექტივები, ცალკეული მოქალაქეები აგროვებენ სახსრებს და შეაქვთ რაიონის თავდაცვის ფონდში. ფონდი დახმარებას უწევს ჩვენი შეიარაღებული ძალების ნაწილებსა და ოჩამჩირეში დაბინავებულ ლტოლვილებს. ამჟამად თავდაცვის ფონდის ანგარიშზე შეტანილმა თანხამ 12 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

პოზიციაზეა თანამოაზრეთა ბატალიონი

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოჩამჩირის რეგიონული ორგანიზაციის წევრებმა იური ქვარაიამ, რუსლან გოგოხიამ, მურმან გურჩიანმა, თენგიზ შონიამ, ვალერი შამუგიამ, თამაზ მაქაცამ, ნუგზარ შონიამ, რეზო ჯობავამ და მათმა მეგობრებმა, სულ — ოცდაერთმა კაცმა, აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებისთანავე დროებით შეაჩერეს პარტიული საქმიანობა და ოჩამჩირელი ახალგაზრდებისგან ჩამოაყალიბეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი მოხალისეთა ბატალიონი.

— ქალაქის ადგილობრივმა მმართველობამ გამოგვიყო კეთილმოწყობილი შენობა, ტრანსპორტი. მოაწესრიგა კვების ბლოკი, თავდაცვის სამინისტრომ გადმოგვცა ავტომატური იარაღი, სამხედრო ფორმა და დაიწყო საბრძოლო წვრთნა, — თქვა ბატალიონის მეთაურმა რუსლან გოგოხიამ. — ახლა ბატალიონში სამასამდე ოჩამჩირელი ახალგაზრდა გაერთიანებული და ჩვენთან მოსვლის მსურველთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. ბატალიონში ვიღებთ იმათ, ვისაც კარგად ვიცნობთ და ვენდობით, ვინც დაიცავს სამხედრო დისციპლინას და ჩვენთან ერთად გაიზიარებს ჭირსა თუ ლხინს.

რეპორტაჟი ოჩამჩირიდან

— ოჩამჩირეში ცხოვრობენ ქართველები, აფხაზები, სომხები, ბერძნები, რუსები, სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ვისაც საქართველოში მშვიდობის აღდგენა სურს, ჩვენს გვერდით დადგა, — ჩაება საუბარში იური ქვარაია. — შესაძლოა დღეს სიტყვა „ინტერნაციონალური" ზოგიერთს აღიზიანებდეს კიდეც, მაგრამ ფაქტია, რომ ოჩამჩირის ბატალიონი ინტერნაციონალურია. ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც მებრძოლებს გაეცნობა.

— ოჩამჩირის ბატალიონი გამოირჩევა დისციპლინით, ორგანიზებულობით, ბრძოლისუნარიანობით. მათ არაერთხელ დაამტკიცეს უოველივე ეს საბრძოლო ოპერაციების დროს, — გვითხრა ბრიგადის შტაბის უფროსმა მაიორმა გელა ქუშაშვილმა.

პროფესიონალი შტაბის უფროსის შეფასების სისწორე თვალნათლივ ვიგრძენით, როცა ბატალიონის დაზვერვის ოფიცრებმა ნუგზარ შონიამ და რეზო ჯობავამ ფრონტის წინა ხაზზე საბრძოლო პოზიციებზე მყოფ მებრძოლებთან მიგვიყვანეს. აქ გავიცანით ქართველი ალექსანდრე ხვიჩია, აფხაზი ხვიჩა ბობუა, სომეხი არტურ მიხაჯიანი, რუსი სერგეი კუზნეცოვი, სხვა მებრძოლები, რომლებმაც ოჯახები მიატოვეს და იარაღს მოჰკიდეს ხელი. ოჩამჩირეში დაბადებულებსა და გაზრდილებს ერთმანეთთან აკავშირებთ მეგობრობა. ცოტა ხნის წინათ ისინი მშვიდობიანად ცხოვრობდნენ და შრომობდნენ მშობლიურ ქალაქში. სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს დღეს მებრძოლის პროფესია აერთიანებს და ბედნიერებას ისინი დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს მთლიანობაში ხედავენ.

— მე სამართლიანობისათვის ვიბრძვი, — თქვა აფხაზმა ხვიჩა ბობუამ, — არასოდეს მიგრძვნია ქართველებისგან უპატივცემულობა. აფხაზი ხალხი მოატყუეს სეპარატისტებმა და ძმათამკვლელ ომში ჩაითრიეს. მე არ შემიძლია ვესროლო ჩემს ქართველ მეგობრებს. მწამს, რომ აფხაზები და ქართველები კვლავაც მეგობრულად ვიცხოვრებთ.

— მტკივნეულად განვიცდი, რომ რუსეთის რეაქციული ძალები უხეშად ერევიან სუვერენული საქართველოს საშინაო პოლიტიკაში. რუსეთ-საქართველოს სოჭის მოლაპარაკებამ მე და ჩემს მეგობრებს იმედი ჩაგვისახა, რომ პოლიტიკური გზით მოგვარდება კონფლიქტი და ჩვენც მშვიდობიან შრომას დავუბრუნდებით. საქართველო ჩემი სამშობლოა და როცა მოშიშობს, მის დამცველთა რიგებში ჩავდგები, — თქვა სერგეი კუზნეცოვმა.

მებრძოლებთან ჩვენი საუბრის დროს აფხაზთა მხარის პოზიციიდან კანტიკუნტად ისროდნენ ავტომატურ იარაღს. ეს იერიშის დაწყების მაუწყებელი სროლა არ ყოფილა. მას მხოლოდ გამღიზიანებელი ხასიათი ჰქონდა. ისიც ვიგრძენით, რომ აფხაზთა მხარის მებრძოლთა უმრავლესობას მობეზრდა უაზრო, უპერსპექტივო ომი და სიყრმის მეგობრებს სახაკვდილოდ ვეღარ იმეტებენ.

— ჩემს აფხაზ მეგობრებს ტყვიას ვერ ვესვრი. ავტომატის ჯერით სიამოვნებით დავცხრილავდი მხოლოდ იმათ, ვინც აფხაზი ხალხი ქართველების წინააღმდეგ აამხედრა და ძმათაშორის სისხლისღვრა წაახალა, — განაცხადა ექვსი შვილის მამამ, რიგითმა მებრძოლმა გოგი შანავამ.

ოჩამჩირის ბატალიონი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ღირსეულად იცავს...

რობერტ ცუცქირიძე.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

ნაბიჯი ურთიერთობის მოგვარების გზაზე

გაიმართა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მორიგი სხდომა, რომლის დაწყების წინ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ, რომელიც სათავეში ედგა საქართველოს მთავრობის დელეგაციას წინა დღეს სოჭში დამთავრებულ რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე, დამსწრეთ გააცნო მისი შედეგები. მან გააანალიზა მოლაპარაკების მიმდინარეობა, რომლის შედეგები აისახა ორივე მხარის მიერ ხელმოწერილ ოქმში, და აღნიშნა, რომ, თუმცა განსახილველად გამოტანილი მთელი რიგი საკითხების გამო ვერ მოხერხდა შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევა, გამართული დიალოგი, უეჭველია, წინგადადგმული ნაბიჯია რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის მოგვარებისა და ორი სახელმწიფოს მეთაურთა უმაღლესი დონის შეხვედრის მომზადების გზაზე.

ბიუჯეტი ვალდებულებათა შესრულებას მოითხოვს

ზოგიერთი საკადრო საკითხის განხილვის შემდეგ მინისტრთა კაბინეტის წევრებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლისა და 1993 წლის იანვარ-თებერვლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგები. აღინიშნა, რომ შარშან ბიუჯეტის შემოსულობებმა მთლიანად შეადგინა 19 მილიარდ 166,2 მილიონი მანეთი ანუ გეგმის 102,6 პროცენტი, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა ბიუჯეტის ცალკეულ სახეობათა შემოსავალი. კერძოდ, ბიუჯეტს დააკლდა თითქმის მილიარდ-ნახევარი მანეთი ანუ 27 პროცენტზე მეტი დამატებული ღირებულების გადასახადის მიხედვით. კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოგებიდან რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხა სულ 148,3 მილიონი მანეთი ანუ 23,9 პროცენტი. მხოლოდ 22 მილიონი მანეთი ანუ წლიური დავალების 7,4 პროცენტი შეადგინა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა. ამრიგად, ცალკეულ სახეობათა შემოსავლის მიხედვით ბიუჯეტს დააკლდა 2 მილიარდ 638,2 მილიონი მანეთი. საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყენებაში ყაირათიანობის რეჟიმის განხორციელების წყალობით რესპუბლიკის ბიუჯეტის გასავალმა შეადგინა 44 მილიარდ 771,6 მილიონი მანეთი, რაც 2 მილიარდ 312,7 მილიონი მანეთით ნაკლებია, ვიდრე დაგეგმილი იყო. ამის შედეგად რესპუბლიკის ბიუჯეტის დეფიციტმა გათვალისწინებული 28 მილიარდ 409 მილიონი მანეთის ნაცვლად შეადგინა 25 მილიარდ 605,4 მილიონი მანეთი.

რაც შეეხება მიმდინარე წლის პირველ ორ თვეს, ბიუჯეტის შემოსავალმა ამ პერიოდში 8 მილიარდ 668 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც 22 პროცენტით აღემატება გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს. ამავე დროს ცალკეულ სახეობათა შემოსავლის მიხედვით იანვარ-თებერვალში ბიუჯეტს დააკლდა 959 მილიონი მანეთი ანუ მთელი შემოსავლის 13 პროცენტი. საგულისხმოა, რომ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მოგების გადასახადის კვარტალური გეგმა შესრულდა 107,2 პროცენტით. ამავე დროს, როგორც სხდომაზე ითქვა, გამოვლინდა არასახელმწიფო სექტორის საწარმოთა და ორგანიზაციათა გულგრილი დამოკიდებულება ბიუჯეტის წინაშე თავიანთ ვალდებულებათა შესრულებისადმი. საკმარისია ითქვას, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში ჩარიცხეს მხოლოდ 2 მილიონი მანეთი ანუ გეგმის 11 პროცენტი.

მიღებულ დადგენილებაში განისაზღვრა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების, მისი დეფიციტის შემცირების, საბიუჯეტო ასიგნებათა რაციონალური გამოყენების კონკრეტული ღონისძიებანი.

იქნება ქართული „ვაუჩერი"

მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1993 წლის პირველი ივლისიდან რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ჩეკების სისტემის შემოღების შესახებ, დაამტკიცა ამ ჩეკების დებულება. საქართველოს ყოველი მოქალაქე მიიღებს ერთ ასეთ ჩეკს, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს უფასოდ მიიღოს საკუთრებად საერთო სახელმწიფო ქონების გარკვეული წილი. ამისათვის მან უნდა გადაიხადოს მხოლოდ საკომისიო მოსაკრებელი 100 მანეთის ოდენობით. საპრივატიზაციო ჩეკის ნომინალური ღირებულება 60 ათასი მანეთია. დადგენილია, რომ 1993 წლის გამოშვების ეს ჩეკები იმოქმედებს მიმდინარე წლის პირველი ივლისიდან 1994 წლის 31 დეკემბრამდე.

მიზანია პრივატიზაციის დაჩქარება

განიხილეს სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორგანიზაციის ღონისძიებათა საკითხი და მიიღეს გადაწყვეტილება მის შესახებ. საპრივატიზაციო ჩეკების მიმოქცევისა და ინდექსირებული თანხების გამოყენების, ფასიან ქაღალდებში მოსახლეობის მიერ დაბანდებული სახსრების დაცვის სოციალური გარანტიების უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა საინვესტიციო ფონდებისა და პრივატიზაციის სპეციალიზებული ინვესტიციური ფონდების დებულებანი, საინვესტიციო ფონდის სანიმუშო წესდება, სადეპოზიტო ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი, საინვესტიციო ფონდის ემისიის ტიპობრივი პროსპექტი, აგრეთვე ამ ფონდის მმართველთან ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი.

სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის დაჩქარებისათვის საჭირო პირობების შექმნას ისახავს მიზნად სხდომაზე მიღებული მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაც ამ საწარმოთა და გაერთიანებათა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიმდინარე წლის 15 ივლისამდე უნდა დამთავრდეს. ამასთან დაკავშირებით, დამტკიცდა დებულება „ღია ტიპის სააქციო საზოგადოებად სახელმწიფო საწარმოთა გარდაქმნის შესახებ" და „ღია ტიპის სააქციო საზოგადოების" ტიპობრივი წესდება. განიხილეს აგრეთვე იჯარით გაცემული (გამოსყიდვის უფლებით) სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის მოწესრიგების საკითხი. გადაწყვეტილია ამ საკითხზე მინისტრთა კაბინეტის დადგენილების პროექტი განსახილველად წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

მოსახლეობის ინტერესებისათვის

1993 წლის პირველი აპრილიდან გაიზარდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანაბრების საპროცენტო განაკვეთები. მიღებული დადგენილების თანახმად მოკითხვამდე ანაბრებზე პროცენტები გაიზრდება 15 პროცენტით, ხოლო ვადიან ანაბრებზე: ერთ წელზე მეტი ხნიდან სამ წლამდე — 40 პროცენტით, სამ წელზე მეტი ხნიდან — ხუთ წლამდე — 50 პროცენტით, რვა წელზე მეტი ხნიდან ათ წლამდე — 70 პროცენტით, ათ წელზე მეტი ხნით — 80 პროცენტით. 80 პროცენტით გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები ბავშვთა მიზნობრივ ანაბრებზეც. რაც შეეხება 1990 წლის პირველ ნოემბრამდე გახსნილ ვადიან და დამატებით ვადიან ანაბრებს, მათი საპროცენტო განაკვეთები 15 პროცენტით გაიზარდა.

დამტკიცდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა გრძელვადიანი დაკრედიტების დებულება. შესაბამისი სესხები გაიცემა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, სახლის ან სახლის ნაწილის ყიდვის, რემონტისა და რეკონსტრუქციისათვის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებისათვის, პირუტყვის, მცირე მექანიზაციის საშუალებების შეძენისათვის, საკარმიდამო ნაგებობათა აშენების, საინჟინრო ნაგებობათა მოწყობისათვის, მრავალწლოვანი კულტურების გაშენებისათვის, საბაღე-სააგარაკო სახლების, გარაჟების მშენებლობისა და ყიდვისათვის, აგრეთვე გადაუდებელი საჭიროებებისათვის.

მინისტრთა კაბინეტის წევრების მაღალი შეფასება დაიმსახურა ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ალტერნატიულ სათბობზე — ბუნებრივი და გათხევადებული გაზით მუშაობის რეჟიმზე ავტომობილების გადასაყვანად. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ბენზინისა და დიზელის სათბობის მწვავე დეფიციტის პირობებში ამან ნაწილობრივ მოხსნა დაძაბულობა მოსახლეობისა და სამეურნეო კომპლექსის სატრანსპორტო მომსახურებაში. დღეისათვის ალტერნატიული სათბობით მუშაობის რეჟიმზე უკვე გადაყვანილია თბილისისა და რუსთავის ავტომეურნეობათა კუთვნილი 1000 ავტომობილი. ერთი მხრივ, ამან მნიშვნელოვნად შეამცირა ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვი, ხოლო მეორე მხრივ, საგრძნობი ეკონომიკური ეფექტი მოგვიტანა. საკმარისია ითქვას, რომ 1000 ავტომობილზე გაანგარიშებით პირობითი წლიური ეკონომიკური უკუგება 7200 ტონა ბენზინს შეადგენს. სათბობის ფასების განსხვავების გათვალისწინებით ეს 600 მილიონი მანეთია. მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა გაწეული მუშაობა და მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია ალტერნატიულ სათბობზე რესპუბლიკის ავტოპარკის გადაყვანის დაჩქარების, სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციული სრულყოფისა და წარმოების ღონისძიებანი.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთისა და ახალგორის რაიონებში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის გადაუდებელი ღონისძიებანი, სტიქიის შედეგად დაზარალებული აჭარისა და სვანეთის მოსახლეობისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლების ათვისების მდგომარეობა და სხვა საკითხები.

ედუარდ ედიბერიძე.

„ელ პაისმა" გამოსცა

ესპანური ჟურნალი ედუარდ შევარდნაძის შესახებ

ესპანეთის უდიდესმა გაზეთმა „ელ პაისმა" ამას წინათ გამოსცა სპეციალური ჟურნალი, რომელშიც თავმოყრილია მე-20 საუკუნის პლანეტის ყველაზე უფრო ცნობილ ადამიანთა მოკლე ბიოგრაფიები. მათ შორის არიან ფრანკლინ რუზველტი, ჯონ კენედი, ჰელმუტ კოლი, ნიკიტა ხრუშჩოვი, მარტინ ლუთერ კინგი, მაო ძედუნი, ერნესტ ჰემინგუეი, ალექსანდრე სოლჟენიცინი, ანდრეი სახაროვი, ჯეკ ლონდონი, ბერნარდ შოუ, ჟორჟ სიმენონი, აკირა კუროსავა, დიეგო მარადონა და სხვები. საგულისხმოა, რომ ამ გამოჩენილ მოღვაწეთა შორის არის ედუარდ შევარდნაძეც. აი, რას წერს ჟურნალი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის შესახებ:

ედუარდ შევარდნაძე

საქართველო, 1928; პოლიტიკოსი.

შევარდნაძე იყო გორბაჩოვთან ერთად საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გარდაქმნის ავტორი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ცივი ომის დამთავრება და ევროპის საბჭოელებისაგან განთავისუფლება. როდესაც 1985 წელს გორბაჩოვმა იგი აირჩია ამ მისიისათვის, შევარდნაძეს არ ჰქონდა საგარეო პოლიტიკაში მოღვაწეობის გამოცდილება. თუმცა საქართველოს კომპარტიის ლიდერად მუშაობისას მან უკვე მოიხვეჭილი ჰქონდა რეფორმატორის სახელი. მან ჯერ კიდევ ამ პოსტზე დაიწყო ბრძოლა კორუმპირებული იერარქიის წინააღმდეგ.

„პერესტროიკის" პერიოდში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას შევარდნაძემ საფუძველი ჩაუყარა ხელშეკრულებებს ბირთვული განიარაღების შესახებ, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 1990 წლის ხელშეკრულებას საკონტინენტთაშორისო რაკეტების შემცირების შესახებ.

მიუხედავად ამისა, შევარდნაძეს, რიგ შემთხვევებში, გორბაჩოვისაგან განსხვავებული აზრი ჰქონდა, კერძოდ, იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რეაქცია ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობაზე. მინისტრის თანამდებობიდან გადადგომისას მან გააკეთა განცხადება მოსალოდნელი დიქტატურის საშიშროების შესახებ.

ითავა საქართველოს ხელმძღვანელობა მეტად რთულ მომენტში, ზვიად გამსახურდიას ურთოდოქსალური კომუნიზმის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის სისხლიანი შეტაკების შემდეგ, ასევე სამაჩაბლოში, საზღვრებთან დაკავშირებული შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში. ამ პრობლემების შედეგები ბოლომდე დღესაც არ არის მოგვარებული.

ნომერში

- მესამე ქალი, რომელიც აპირებდა დირიჟორობას. — 3
- ფერადი ლითონების დატაცებამ აპოგეას მიაღწია. — 3-4

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „3 მარტს — დედის დღეს" შემდეგ დაემატოს სიტყვები „9 აპრილს — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღეს — საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღეს".
2. კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე,

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე,

თბილისი, 1993 წლის 13 აპრილი.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ისრაელის ჟურნალისტები

— მოხარული ვარ, რომ ისრაელის ჟურნალისტებს აინტერესებთ საქართველოს ბედ-იღბალი, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების მიღებაზე. — აგერ უკვე 26 საუკუნეა, რაც ქართველ და ებრაელ ხალხებს აკავშირებს მეგობრობა და კეთილი ურთიერთობა და ვიმედოვნებ, რომ ეს ურთიერთობა უფრო მეტად განმტკიცდება.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გააცნო სტუმრებს საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარება აფხაზეთის კონფლიქტის გამო. ისრაელის ჟურნალისტებს აინტერესებდათ აფხაზეთის ე. წ. თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ჭორი თითქოსდა საქართველოს შეიარაღებული ძალები იბრძვიან ისრაელში წარმოებული იარაღით და თითქოს ამის თაობაზე გარიგება მოხდა ისრაელ კომერსანტ იაკობ ნიმროდისთან.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის პასუხმა ნათელი მოჰფინა ყველაფერს. საქართველო არავითარ სამხედრო დახმარებას არ იღებს ისრაელიდან, რაც შეეხება ცნობილ კომერსანტს, იგი მართლაც იყო თბილისში და ლაპარაკი იყო მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობაზე, კერძოდ, ხორბლის და ბრინჯის მოწოდებაზე.

დღეს საქართველოს უჭირს, ამიტომ, ყველა, ვინც კი გამოუწოდებს მას დახმარების ხელს, ჩვენი მეგობარია, — თქვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა. რაც შეეხება ისრაელს, მასთან ჩვენ თანამშრომლობის დიდი გეგმები გვაკავშირებს როგორც მრეწველობის, ისევე სოფლის მეურნეობის დარგში. მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოდან სასმელი წყლის მიწოდებაზე და ისრაელიდან ხორცის მიღებაზე. ბარტერული გაცვლები ორივე მხარეს დიდ სარგებლობას მოუტანს.

ისრაელის ჟურნალისტებს აინტერესებდათ, როგორ აპირებს რესპუბლიკა კრიზისის დაძლევას, როგორ მიმდინარეობს პრივატიზაციის პროცესები, რა ურთიერთობა გვაქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, საით აქვს საქართველოს აღებული გეზი, დასავლეთისკენ თუ აღმოსავლეთისკენ და ასე შემდეგ.

ყველა საკითხზე მათ ამომწურავი პასუხი მიიღეს, გულითადი მადლობა გადაუხადეს სახელმწიფოს მეთაურს და გადაწყვიტეს, რომ უახლოეს დღეებში გააშუქებენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თავისი გამოცემების ფურცლებზე.

საქართველოს პარლამენტი: გუშინწინდელი სხდომის პოსტსკრიპტუმი

როგორც ვიუწყებოდით, პარლამენტმა გუშინწინდელ სხდომაზე განიხილა „საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ" კანონის პროექტი. პუნქტობრივ განხილვას დიდი დრო დასჭირდა — კამათი საღამოს სხდომაზეც გაგრძელდა. გამოითქვა პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები, რომელთაგან ზოგი გაზიარებული იქნა, ზოგი — არა. ბოლოს და ბოლოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ", რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

„სრ" საპარლამენტო კორ.

ბრიფინგი რუსეთის ფედერაციის საელჩოში

— რუსეთ-საქართველოს სოჭის მოლაპარაკებაზე ხელმოწერილი ოქმი გზას უხსნის რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრას, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის ელჩმა საქართველოში ვლადიმერ ზემსკიმ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე, რომელიც 14 აპრილს მოეწყო რუსეთის თბილისის საელჩოში.

ელჩმა განმარტა და დადებითად შეაფასა სოჭის შეხვედრის შედეგები, რადგან იგი მიზნად ისახავდა უმაღლესი დონის შეხვედრის მომზადებას, მან შექმნა ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობის შემდგომი ნორმალიზაციის წანამძღვრები, განაგრძო აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების გზების ძიება. ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა „სასწრაფოდ დაიდოს რუსეთსა და საქართველოს შორის ყოვლისმომცველი ხელშეკრულება და ხელმოწერილ იქნეს სხვა სახელშეკრულებო დოკუმენტები, რომელთა პროექტები შეთანხმებულია სახელმწიფო დელეგაციებს შორის. ისინი გახდება რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი".

გააცნო რა ჟურნალისტებს სოჭის მოლაპარაკების მიმდინარეობა, ვლადიმერ ზემსკი დაეთანხმა პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას იმ სიტყვებს, რომ რუსეთს არ უნდოდა უშედეგოდ, უპოზიტივოდ წასულიყო მოლაპარაკებიდან, რადგან რუსეთის მხარე ნამდვილად ესწრაფვის საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მეგობრული და კონსტრუქციული იყო.

რაც შეეხება უმაღლესი დონის შეხვედრის ვადებს, ამასთან დაკავშირებით ბატონმა ზემსკიმ თქვა, რომ ბუნებრივია იგი ვერ გაიმართება 25 აპრილამდე, რეფერენდუმამდე.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა მორიგი საინფორმაციო ლექტორიუმი გაიმართება ა. წ. 16 აპრილს 16 საათზე მთავრობის სახლის საკონფერენციო დარბაზში.

რესპუბლიკაში სამეურნეო აქტიურობის ამაღლებისა და მეწარმეობის განვითარების საკითხებზე ისაუბრებს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბატონი ზურაბ კერვალიშვილი.

სამეურნეო და სამეცნიერო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც არ არიან ლექტორიუმის წევრები, შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ლექტორიუმის მუშაობაში, რის შესახებაც წინასწარ გვაცნობონ ტელეფონით: 93-59-07; 98-23-46.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვის ცენტრი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის დასკვნითი განცხადება

„საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამის" თაობაზე

ამჟამად საქართველო სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე წარმოების ზრდის ტემპი 60 და მეტი პროცენტით შემცირდა, ხოლო ინფლაციის ტემპი 1992 წლის მეორე ნახევარში მკვეთრად გაიზარდა და მთლიანად წლიწადში თითქმის 1500 პროცენტი შეადგინა. 1992 წელს უპრეცედენტოდ გაუარესდა აგრეთვე საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა, ხოლო საქართველოს წმინდა დეფიციტმა მანეთის ზონის მიმართ საკორესპონდენტო ანგარიშებში შეფასებებით მიაღწია 150-180 მილიარდ მანეთს, ანუ პროგნოზით განსაზღვრული ერთობლივი საშინაო პროდუქტის 100 პროცენტზე მეტს.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებს შეგნებული აქვთ ის რთული სიტუაცია, რომელშიც გარკვეულწილად ასახულია მთელი მანეთის ზონისათვის დამახასიათებელი საერთო ფაქტორები, მათს კონტროლს რომ არ ექვემდებარება. ამასთან, ნაწილობრივ იმის გამო, რომ დღეისათვის აუცილებელია სხვა საშინაო პრობლემების გადაჭრა (კერძოდ, კონფლიქტი აფხაზეთში), მათ მოუწევთ მტკიცე ღონისძიებათა განხორციელება ეკონომიკური და ფინანსური რეფორმის დარგში მოქმედების კომპლექსური გეგმის შესასრულებლად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ ყურადღებით შეისწავლა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მომზადებული „საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამის" პროექტი და მიაჩნია, რომ ამ დოკუმენტის მომზადება, რომელიც შეიცავს საქართველოს მთავარი ეკონომიკური პრობლემების ღრმა და ყოვლისმომცველ ანალიზს, მნიშვნელოვანი პირველი წინგადადგმული ნაბიჯია რეფორმების გზაზე. თუ უახლოეს ხანს, იგი მიიღებს ციფრობრივ მაჩვენებლებით გამოხატული პროგრამის სახეს, რომელშიც შევა კონკრეტული ღონისძიებანი, ასეთ პროგრამას შეუძლია, ფინანსური სტაბილურობის პირობებში, ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკაზე ჰარმონიულ გადასვლას და ახალ ეკონომიკურ წინსვლას.

ამ ფონზე მისიას სურს რესპუბლიკის მთავრობას შესთავაზოს ზოგიერთი მოსაზრება ეკონომიკური პოლიტიკის ამჟამად მეტად აქტუალურ, ძირითად საკითხებზე, მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომელთაც, მისი აზრით, შეუძლიათ შეავსონ და დახვეწონ მთავრობის ეკონომიკური რეფორმის პროგრამის პროექტი.

1. ინფლაციისა და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირების გადაუდებელი საჭიროება

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის თვალსაზრისით, უპირველესი პრიორიტეტი ენიჭება ინფლაციის ტემპის სწრაფ და მკვეთრ შემცირებას. საწარმოებსა და მოსახლეობას სტიმული არა აქვთ, თვეში მინიმუმ 30-40-პროცენტიანი ინფლაციის პირობებში, დააბანდონ ფული ბანკების ანგარიშებზე, ანდა მოახდინონ მისი ინვესტირება, ისინი ამჯობინებენ განახორციელონ სპეკულაციური სავაჭრო ოპერაციები. ასეთ ვითარებაში საეჭვოა მოველოდეთ რაიმე არსებით გრძელვადიან თუ უცხოურ ინვესტიციებს, ანდა დაფინანსებას ოფიციალური წყაროებიდან. ამრიგად, მისია დარწმუნებულია, რომ ინფლაციის მკვეთრი შემცირების გარეშე საეჭვოა ეკონომიკის აღდგენა-განვითარება.

სამანეთო ზონაში ინფლაციის ძირითადი მიზეზია მასობრივი საკრედიტო ემისია (დიდი სესხები, რომელიც გამოიყოფა როგორც სახელმწიფო საწარმოებს, ისე ბიუჯეტს), რომელიც ბოლო თვეებში საქართველოში სავსებით გამოვიდა კონტროლიდან. მაგალითად, მარტო 1992 წლის დეკემბერში, საქართველოს საწარმოებისათვის ახალი კრედიტის სახით გაცემულმა თანხამ მიაღწია 30-40 მილიარდ მანეთს, მაშინ როცა ნოემბრის დამლევს დაუფარავი კრედიტების თანხა შეადგენდა 100 მილიარდ მანეთზე მეტს. რაც შეეხება ბიუჯეტს, ხელისუფლების ორგანოები ვარაუდობენ, რომ მარტო 1993 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, ინფლაციის მუდმივი ზრდის გაუთვალისწინებლადაც კი, საჭირო გახდება სულ ცოტა 30 მილიარდი მანეთი საკრედიტო ემისია. ალბათ, მართლზომიერი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ საკრედიტო ემისიის არსებითი ნაწილი მოჰყვა წარმოების ზრდა, უფრო სწორია, თუ ვიტყვით, რომ მან უბრალოდ განაპირობა ფულის მასის ზრდა და ხელი შეუწყო ინფლაციას.

მისიას დიდად აწუხებს ის გარემოება, რომ ახლანდელი ტენდენციების დროს არსებობს უახლოეს მომავალში ჰიპერინფლაციის წარმოშობის აშკარა რისკი — იმ სიტუაციის მსგავსად, რომელიც შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე და არცთუ ისე დიდი ხნის წინათ — ლათინურ ამერიკაში. ჰიპერინფლაციის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული შედეგია რესურსების იმგვარი გადანაწილება, რომ ისინი ვერ აღწევენ საზოგადოების ყველაზე დაუცველ ჯგუფებამდე (პენსიონერები და ფიქსირებული შემოსავლის მქონე მოსახლეობის სხვა კატეგორიები), რაც კიდევ უფრო აღრმავებს სოციალურ დაძაბულობას. უფრო რომ განვაზოგადოთ, ჰიპერინფლაცია მთლიანად ანგრევს ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემას და, როგორც ისტორია გვასწავლის, არცთუ იშვიათად იწვევს ძალადატანებით პოლიტიკურ ძვრებს.

საქართველოში საკრედიტო ემისიამ მნიშვნელოვანწილად გამოიწვია აგრეთვე სამანეთო ზონის დანარჩენი ნაწილის (განსაკუთრებით რუსეთის) მიმართ საგადამხდელო ბალანსის მასობრივი დამახინჯება, რაც იმით გამოიხატება, რომ გაიზარდა საქართველოს წმინდა საგარეო დავალიანება საკორესპონდენტო ანგარიშების სისტემის მიხედვით. ასეთმა დეფიციტმა (რომელიც თავის მხრივ, დაფინანსდება საკრედიტო ემისიით თვით რუსეთში) შეუძლებელია გასტანოს ხანგრძლივი დროის მანძილზე. გარდა ამისა, საგარეო სახელმწიფო ვალის მუდმივი მატება, რაც წარმოიქმნება საგარეო სესხებისადმი საქართველოს მთავრობის სულ უფრო მზარდი მისწრაფების შედეგად, ნაკლებად სარწმუნოს ხდის ეკონომიკის ზრდის შესაძლებლობას საშუალოვადიან პერსპექტივაში.

დაბოლოს, არსებობს გარკვეული მონაცემები იმის შესახებ, რომ საკრედიტო ემისიამ, შესაძლოა, გამოიწვია ხელფასის უკონტროლო ზრდა[1]. ისეთ ვითარებაში, როცა საქართველოს ეკონომიკა უნდა ცდილობდეს შეეგუოს ძირითადი იმპორტული საქონლის, კერძოდ, ენერგორესურსების ფასების მუდმივ ზრდას, თუ მოქნილობა არ იქნა გამოჩენილი რეალური ხელფასის განსაზღვრისას, გართულდება მოსალოდნელი შედეგის მიღება. კერძოდ, შეიძლება საჭირო გახდეს საშუალო რეალური ხელფასის გარკვეული შემცირება, რათა წაეხალისოთ რესურსები, გამოყენება საწარმოო საქმიანობის ახალი სახეობებისათვის.

2. მანეთის ზონის წევრობა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია აღიარებს, რომ სანამ საქართველო სარგებლობს მანეთით, ხელისუფლების ორგანოებს არ ძალუძთ სერიოზული გავლენა მოახდინონ რესპუბლიკის შიგნით ინფლაციის ტემპის ცვალებადობაზე, რადგან იგი გამოწვეულია მოვლენათა განვითარებით მთელ სამანეთო ზონაში. მაგრამ ხელისუფლებამ თავი უნდა აარიდოს კიდევ უფრო ექსპანსიურ საფინანსო პოლიტიკას სამანეთო ზონის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. მანეთის ფინანსური სტაბილიზაცია, ყოველ შემთხვევაში უახლოეს პერიოდში (რაც პრაქტიკულად ნიშნავს სტაბილურობას რუსეთში), ნაკლებად მოსალოდნელია. დღემდე ვერ მოხერხდა წარმატების მიღწევა მთელ სამანეთო ზონაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კოორდინაციის მხრივ, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა საქართველოში საფინანსო პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების საქმეში. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სანამ საქართველო სამანეთო ზონაში რჩება, ჩვენის აზრით, პრაქტიკულად შეუძლებელია სტაბილიზაციის პროგრამის შემუშავება, რომელიც უმთავრესად მიზნად დაისახავს ინფლაციის მკვეთრ შემცირებას.

თუ დავუშვებთ, რომ რუსეთში არცთუ ისე მალე მოხდება ფინანსური სიტუაციის სტაბილიზაცია, ხელისუფლების ორგანოებს უახლოეს ხანებში ალბათ მოუწევთ ფუნდამენტური საკითხის გადაწყვეტა — ხომ არ აჯობებდა რომ საქართველო გამოვიდეს სამანეთო ზონიდან და გამოუშვას ეროვნული ვალუტა. ეს ღონისძიება ხელისუფლების ორგანოებს საქართველოში კრედიტებისა და ფულადი მასის მართვის ბერკეტს მისცემს და მაშასადამე, ინფლაციის ტემპის შენელების საშუალება გახდება. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ მისიის მტკიცება იმის შესახებ, რომ ამგვარი ნაბიჯის წარმატებით გადასადგმელად ხელისუფლების ორგანოებს მტკიცედ უნდა ჰქონდეთ გადაწყვეტილი გაატარონ გაცილებით უფრო რესტრიქციული ფინანსური პოლიტიკა, იმ პოლიტიკასთან შედარებით, რომელიც ალბათ, პრევალირებული იქნება მანეთის ზონაში. კერძოდ, ეს გულისხმობს მათ მზადყოფნას, მკვეთრად შეამცირონ როგორც საკრედიტო ემისია, ისე ბიუჯეტის დეფიციტი და შეურიგდნენ ამასთან დაკავშირებული რეალური შემოსავლის მოკლევადიანი შემცირების შესაძლებლობას.

მისია აღიარებს, რომ პოლიტიკური ასპექტების გარდა საქართველოს რესპუბლიკამ მომავალში უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე რუსეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო-საფინანსო კავშირურთიერთობის შესაძლო ევოლუცია. თვალნათლივ ჩანს, რომ ამჟამად ამ ურთიერთობას მერყეობა ახასიათებს. კერძოდ, ბოლომდე არ არის გარკვეული, მისცემს თუ არა რუსეთი საქართველოს კრედიტებს უახლოეს თვეებში, ან თუ მისცემს, რამდენი ხნის მანძილზე და რა პირობებით. იმისათვის, რომ შეიმუშაონ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირების გარკვეული საფუძველი, მისია დაჟინებით ურჩევს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს ყოველნაირად ეცადონ ამ საკითხების განმარტებას, რუსეთის მხრიდან (საერთაშორისო სავალუტო ფონდის პერსონალმა რუსეთსაც შესთავაზა იგივე მოიმოქმედოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ).

გადაწყვეტილება იმის შესახებ, დარჩეს თუ არა საქართველო სამანეთო ზონაში, რა თქმა უნდა, სუვერენული პოლიტიკური საკითხია. მაგრამ თუ ხელისუფლება მიიღებს გადაწყვეტილებას ეროვნული ვალუტის შემოღების შესახებ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეგულარული ტექნიკური დახმარების დამატებით, მზად არის გააგრძელოს კონკრეტული კონსულტაციები და ეცდება წარმატებული გახადოს ასეთი ნაბიჯი. ნებისმიერ შემთხვევაში, გონივრულია დაჩქარდეს ასეთი ნაბიჯისათვის მზადება, მათ შორის განხილულ იქნეს დროებით საფუძველზე კუპონების გამოყენების შესაძლებლობა. განსაკუთრებით, თუ მანეთიანი ბანკნოტების მიწოდება უკიდურესობამდე შემცირდება ან სულაც შეწყდება.

3. საფინანსო პოლიტიკა

იმის მიუხედავად, დარჩება თუ არა საქართველო სამანეთო ზონაში, მთავრობის ახლანდელი პოზიცია ექსპანსიური საფინანსო პოლიტიკის მიმართ არ არის ქმედითი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბოლო თვეებში მკვეთრად გაიზარდა როგორც ბიუჯეტის, ისე სახელმწიფო საწარმოთა დეფიციტი, რომელიც იფარება მასობრივი საკრედიტო ემისიით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა სასწრაფო მაკროეკონომიკური კორექტივები. თუ საქართველო გადაწყვეტს ეროვნული ვალუტის დანერგვას და შეინარჩუნებს ფინანსურ დისბალანსს, ეს დაუყოვნებლივ გამოიწვევს ეროვნული ვალუტის ღირებულების დაქვეითებას. ასევე, თუ დავუშვებთ, რომ საქართველო დარჩება სამანეთო ზონაში, რაღაც მომენტში სამანეთო ზონა იძულებული გახდება განახორციელოს სტაბილიზაციის პროგრამა, რომელიც ყველა მონაწილე რესპუბლიკისაგან მოითხოვს საფინანსო პოლიტიკის შეთანხმებულ მკვეთრ გამკაცრებას. სხვა ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, თუ ახლანდელ დისბალანსებს დაუბრკოლებელი ბატონობის ნება მიეცა, მაშინ კორექტივები, რომლებზეც დათანხმება მოუწევს საქართველოს, მეტისმეტად მტკივნეული იქნება და გამოიწვევს უფრო დამანგრეველ ეფექტს, ვიდრე მოწესრიგებული და დაგეგმილი სტაბილიზაცია.

1992 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა (შემნახველ ბანკში ანაბრების თანხის ორჯერ გაზრდის სამთავრობო გარანტიების ჩათვლით), შეფასებებით, მიაღწია რეკორდულ ნიშნულს—ერთობლივი საშინაო პროდუქტის 26 პროცენტს. როგორც მოსალოდნელია, 1993 წლის პირველ კვარტალში დეფიციტი კიდევ უფრო გაღრმავდება (რაც, ალბათ წლის დამლევამდე გაგრძელდება). მისია მოგიწოდებთ სასწრაფოდ და მკვეთრად შემცირდეს ეს დეფიციტი. ჯერ ერთი, შეიძლება განხორციელდეს გარკვეული საგადასახადო ღონისძიებანი, მათ შორის აქციზების განაკვეთის გაზრდა; იმ საქონლისა და საგნების, იმპორტზე აქციზებით დაბეგვრის გავრცელება, რომელთა სამამულო ანალოგები უნდა დაიბეგროს აქციზის მოსაკრებლებით საშინაო ბაზარზე (ამავე დროს საექსპორტო საქონელი უნდა განთავისუფლდეს აქციზის მოსაკრებლებისაგან), ყველა საიმპორტო საქონელზე დამატებით ღირებულებაზე გადასახადის გავრცელება ღირებულების ისეთი შეფასების საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბაჟები და აქციზის მოსაკრებლები; არსებული 2-პროცენტიანი სატარიფო განაკვეთის მკვეთრი გაზრდა იმ ქვეყნებიდან იმპორტის დროს, რომლებიც არ შედიან სამანეთო ზონაში; საგადასახადო შეღავათების შემცირება (გაუქმება) და დამატებით ღირებულებაზე გადასახადის რეჟიმში მთელი რიგი სხვა ადმინისტრაციული ცვლილებების შემოღება (დაწვრილებით ცალკე ეცნობა რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს). ეფექტურია გადასახადით გადახდევინების მექანიზმის სრულყოფაც (რეკომენდებული ღონისძიებანი უკვე გვაცნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადასახადო-საბიუჯეტო საკითხთა სამმართველომ), რომელიც კადრების მომზადების გარდა, შეიცავს საბაჟო სამსახურის სრულყოფის, შერჩევითი აუდიტის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების, სწავლების, გადასახადის გადამხდელებისათვის მომსახურების გაწევის პროგრამის შემუშავების საკითხებს, აგრეთვე საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახადების გადაუხდელობისათვის საწარმოების დროებითი დახურვის უფლებამოსილების მინიჭებას.

ბიუჯეტში დარჩენილი გარღვევის დასაფარავად მოგვიხდება მნიშვნელოვნად შევკვეცოთ ხარჯები. ამასთან დაკავშირებით მისია ვერ დაეთანხმება იმ აზრს, რომ ხარჯები „მინიმალური მოთხოვნილებების დონეზე" არ შეიძლება შეიკვეცოს სიტუაციაში, სადაც (მაგალითად, 1993 წლის I კვარტალი) ასეთი ხარჯების ნახევარზე მეტი დაგეგმილია დაიფაროს საკრედიტო ემისიის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, მისია სავსებით ეთანხმება რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს იმაზე, რომ ხარჯები ბიუჯეტში რეალური უნდა იყოს. მაშასადამე, მთავრობისათვის ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს ხელმისაწვდომ დონემდე ხარჯების დონის შემცირებისათვის მკაცრი და არაპოპულარული ღონისძიებების საჭიროების მკაფიო ახსნა-განმარტება. მეორე ვარიანტი, სახელდობრ კი ხარჯების დაფინანსება კრედიტების ხარჯზე, ინფლაციის მეშვეობით იწვევს მხოლოდ მყიდველობითი უნარის შემცირებას, განსაკუთრებით მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ჯგუფებს შორის. ინფლაცია ეს არის გადასახადის დაკისრება ღარიბებისათვის.

მისია მიესალმება რეგულირებული ფასების ამასწინანდელ ცვლილებებს და ხელისუფლების ორგანოებს მოუწოდებს შემდგომი პროგრესისათვის ამ მიმართულებით. კერძოდ, იგი რეკომენდაციას იძლევა შეიცვალოს დოტაციები (ძირითადი სასურსათო საქონლის, კომუნალური მომსახურებისა და ტრანსპორტის) უფრო პირდაპირი სუბვენციებით, რომლებიც გამიზნულია მოსახლეობის ყველაზე ნაკლებადუზრუნველყოფილი ჯგუფებისათვის დასახმარებლად, სოციალური უსაფრთხოების სისტემის გათვალისწინებით; მარტო პურისა და ელექტროენერგიის დოტაციები შეადგენს საერთო-საბიუჯეტო ხარჯების დაახლოებით 25 პროცენტს. ეს საშუალებას მისცემს ბიუჯეტს განსაზღვროს ასეთი ხარჯების მყარად ხელმისაწვდომი დონე. არის ძლიერი არგუმენტი ხელფასის ზრდის ტემპის არსებითი შემცირების სასარგებლოდაც, აგრეთვე სახელმწიფო მოსამსახურეთა რიცხვის შემცირების სასარგებლოდ. შეიძლებოდა აგრეთვე, შეგვეკვეცა იმ დახმარებების ოდენობა, რომლებიც გროვდება საპენსიო სისტემის, სოციალური დაცვის სხვა სქემების ფარგლებში, რათა გამოთავისუფლებული სახსრები გამოგვეყენებინა უშუალოდ ყველაზე დაუცველი ჯგუფის დასახმარებლად. ყველა შემოსავალი და გასავალი ზუსტად უნდა იყოს დაფიქსირებული ბიუჯეტში (მათ შორის უმუშევრობისა და თავდაცვის საერთო ხარჯები), რათა შესაძლებელი გახდეს შემცირების რეზერვების კომპლექსური გაანალიზება. ბოლოს, როგორც რეკომენდებული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინა მისიების მიერ, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში ხაზინის სამსახურის შექმნა ბიუჯეტის შესრულების მეთვალყურეობისათვის დიდად პრიორიტეტული საშუალება უნდა გახდეს.

აგრეთვე მკაცრ ფინანსურ პირობებში უნდა ჩავაყენოთ **სახელმწიფო საწარმოთა სექტორი**. ხოლო კრედიტების მუდმივი გამოყენება უნდა შეწყდეს. მაკროეკონომიკური რეფორმების პროცესს გარდაუვლად მოჰყვება მთელი რიგი საწარმოების დახურვა. მაგრამ მისიის თვალსაზრისით, გაცილებით უმჯობესია ამ პროცესის თანმხლები უმუშევრობის ხარჯები პირდაპირ ბიუჯეტიდან გავიღოთ უმუშევრობის დახმარებათა სქემის მეშვეობით და არა არარენტაბელური და არამოქმედი საწარმოებისათვის კრედიტების ერთჯერადი მიცემით. ამასთან დაკავშირებით საბაზრო სისტემის ფუნქციონირების გზაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი უნდა გახდეს გაკოტრების შესახებ კანონის უსწრაფესი მიღება.

ცხადია, რომ ამჟამად საფინანსო სისტემის ყველაზე სუსტი რგოლია საქართველოს ეროვნული ბანკის უუნარობა, განახორციელოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მართლაც, ბოლო ამბები მოწმობს, რომ საკრედიტო პოლიტიკა არასწორი მიმართულებით ჩითარდება. გარდა ამისა, საპროცენტო განაკვეთები სერიოზულად განსხვავდება სამანეთო ზონის სხვა რესპუბლიკების საპროცენტო განაკვეთებისაგან და კვლავ სერიოზულად ჩამორჩება ინფლაციის ტემპს. ასეთი სიტუაცია ხელს უწყობს მხოლოდ კრედიტების შემდგომ განაწილებას, სტიმულს არ აძლევს შინაგან დანაზოგებს და იწვევს კაპიტალის გადინებას საქართველოდან.

4. სტრუქტურული რეფორმები

ფინანსური კრიზისის მოწესრიგების გადაუდებელ ღონისძიებათა პარალელურად ხელისუფლების ორგანოები მტკიცედ უნდა მიდიოდნენ წინ რადიკალური სტრუქტურული რეფორმის პროგრამის რეალიზაციისაკენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელისუფალთა მიერ ასეთი პროგრამის პროექტის მომზადება სერიოზული ნაბიჯია ამ მიმართულებით და მისია მიესალმება ამას. საჭირო ღონისძიებებს ძირითადად კონტროლს უწევენ საქართველოს ხელისუფალნი, ხოლო მეტი განხორციელება საჭიროა ფინანსური სტაბილურობის მიღწევის შემდეგ. ეკონომიკის რეფორმის კომპლექსური პროგრამის უპირატესობათა რეალიზაციისათვის

სტრუქტურული რეფორმის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ეკონომიკური პროცესების უშუალო მართვაში სახელმწიფოს როლის მკვეთრი შემცირება. მთავრობა უნდა ცდილობდეს შექმნას ისეთი საერთო მაკროეკონომიკური კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, ხოლო რესურსების განაწილება უნდა დაეკისროს საბაზრო ძალებს. საქართველოს შემთხვევაში ცხადია, რომ, თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფოს გაბატონებულ როლს, მიტწილ საწარმოო და საინვესტიციო ღონისძიებებში, „ზრდის მამოძრავებელი" მომავალში უნდა გახდეს კერძო სექტორი (როგორც სამამულო, ისე უცხოური). თუმცა პროგრამის პროექტში სწორად არის ხაზგასმული ამ ამოცანის მნიშვნელობა, უნდა დაკონკრეტდეს საჭირო ღონისძიებები და მათი შესრულების ვადები. მისიას ზოგჯერ ექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ პროგრამის პროექტში სახელმწიფოს უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ცალკეული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე ზემოქმედებაში, ვიდრე ეს სასურველია.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა. მაშინ, როცა საგადასახადო პოლიტიკის სქემას შეუძლია მოემსახუროს რამდენიმე ამოცანის შესრულებას, მისი ძირითადი მიზანი უნდა იყოს შემოსავლის ეფექტიანი და მყარი წყაროს გამონახვა. არსებობს რისკი, რომ სახელმწიფო მეტისმეტად დიდ როლს შეასრულებს საგადასახადო სისტემის მეშვეობით რესურსების განაწილებაში, რაც გამოიწვევს მნიშვნელოვან დანაკარგებს ეფექტიანობაში. ამრიგად, მისია ეჭვქვეშ აყენებს იმას, გონივრულია თუ არა სექტორების მიხედვით დიფერენცირებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენება საწარმოების მიმართ. ანალოგიურად, საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული ექსპორტის დაბეგვრა, განსაკუთრებით დიფერენცირებული ხასიათისა, აგრეთვე იმპორტის დოტაციები, ასეთი ღონისძიებანი, მისიის აზრით, უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს სავაჭრო ბალანსზე და ამცირებს შემოსავლის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან წყაროს.

შეშფოთებას იწვევს აგრეთვე როლი, რომელიც ენიჭება ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ერთობლივი ფულადი მაჩვენებლების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რის გამოც, საქართველოს ეროვნული ბანკი არ უნდა ეცადოს ზეგავლენა მოახდინოს რესურსების განაწილებაზე მიკროეკონომიკურ დონეზე, კერძოდ, კრედიტები გამოუყოს კონკრეტულ დარგებსა და კონკრეტულ პროექტებს, ანდა ასეთი კრედიტები გასცეს დიფერენცირებული საპროცენტო განაკვეთებით. ამ გადაწყვეტილებების მიღება უნდა დაეკისროს კომერციული ბანკების კომპეტენციის სფეროს, სათანადო რისკისა და მომგებიანობის კრიტერიუმების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ბანკებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ საკუთარი რესურსები საბაზრო პროცენტული განაკვეთების მიხედვით ანაბრების მოზიდვის გზით და არა იმ გზით, რომ მიიღონ საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების კრედიტები. (საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თავისი ურთიერთობა კომერციულ ბანკებთან უნდა შემოფარგლოს უმთავრესად საზედამხედველო ფუნქციით და საფინანსო სისტემის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფით). მისია ხელისუფლების ორგანოებს მოუწოდებს ასეთი მიდგომისა და იმ კანონების უსწრაფესი მიღებისაკენ, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ბანკს მიანიჭებს უფლებამოსილებას ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განახორციელოს გარეშე ზემოქმედებისაგან დამოუკიდებლად. დაბოლოს, დიდი ხანია ბჭობის საგნად ქცეული საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გადაიჭრას შემნახველი ბანკის გადაუდებელი პრობლემა, უნდა მოგვარდეს პრიორიტეტული წესით.

პრივატიზაციის დარგში — რეალური წარმატებანია მიღწეული მიწის და, განსაკუთრებით, საცხოვრებელი ბინების პრივატიზაციის სფეროში. მაგრამ, რამდენადმე საწყენია საწარმოთა პრივატიზაციის პროცესის დაყოვნება; დღემდე მცირე საწარმოების მხოლოდ მცირე ნაწილია (შესაძლოა, დაახლოებით 10 პროცენტი) შემოთავაზებული პრივატიზაციისათვის, ხოლო მსხვილი საწარმოების მიმართ გეგმები დღემდე მუშავდება. მისია მოუწოდებს ხელისუფლების ორგანოებს მკვეთრად დააჩქარონ პრივატიზაცია — საჭიროა რეალურად წინ წასწიონ ეს პროცესი და არ დაელოდონ ყველა პრობლემის გადაჭრას, რომლებიც შეიძლება მომავალში წარმოიშვას. ამასთან დაკავშირებით საპრივატიზაციო ჩეკები (ვაუჩერები) შეიძლება გამოვუშვათ ისე, რომ არ დაველოდოთ სახელმწიფო საკუთრების სრულ ინვენტარიზაციას (დამატებითი ვაუჩერების გამოშვება ყოველთვის შეიძლება მოგვიანებით).

პრივატიზაციისაგან შემოსულობანი არ უნდა მოხმარდეს მიმდინარე ხარჯებს. პრივატიზაციის პროცესის გზაზე დიდმნიშვნელოვანი დამატებითი ნაბიჯი უნდა გახდეს საკუთრების შესახებ კანონის უსწრაფესი მიღება. დაბოლოს, იმ საწარმოებს, რომლებიც ჯერჯერობით რჩება სახელმწიფო სექტორში, უნდა განესაზღვროთ საერთო ეკონომიკური და ფინანსური ამოცანები, აგრეთვე შემუშავდეს პროცედურები, რომლებიც ეხება დასახულ ამოცანათა შესრულებისადმი კონტროლს.

მისია კმაყოფილია ხელისუფალთა ლიბერალიზებული მიდგომით **სავაჭრო-გაცვლითი სისტემისადმი** და იგი მიესალმება მნიშვნელოვან წარმატებებს იმპორტის ლიბერალიზაციის დარგში. მანეთის ერთიანი საბაზრო გაცვლითი კურსით ყველა სავალუტო ოპერაციის განხორციელება აგრეთვე დადებითი მოვლენაა. მაგრამ მისია ხელისუფლების ორგანოებს მოუწოდებს, რაც შეიძლება მალე აიღონ ხელი ორმხრივი სახელმწიფო სავაჭრო შეთანხმებების არაეფექტიან სისტემაზე. რადგან ყველა საწარმოს უნდა ჰქონდეს საგარეო-სავაჭრო საქმიანობის შეუზღუდავად განხორციელების სრული თავისუფლება.

ექსპორტის მიმართ მისია ურჩევს ხელისუფლების ორგანოებს გადავიდნენ ლიცენზირების საერთო და ღია სისტემაზე (რომლის თანახმად ყველა ექსპორტიორს შეუძლია გაიტანოს ნებისმიერი საქონელი ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერ დროს) იმ საქონლისა და საგნების ფრიად მცირე ნუსხით, რომლებიც ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზეზების გამო ექვემდებარება კონტროლს. ასეთი ლიცენზიების მიღების პროცედურა უნდა გამარტივდეს ერთსაფეხურიან სისტემაზე გადასვლით. ექსპორტის წასახალისებლად უნდა გაუქმდეს ექსპორტის 12-პროცენტიანი სავალუტო გადასახადი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მრავალვალუტიანი დაბეგვრის პრაქტიკა; მთავრობა მზად უნდა იყოს ბაზარზე შეიძინოს თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო უცხოური ვალუტა, მაგრამ სახელმწიფო საწარმოებმა, რომლებიც ჯერჯერობით ექვემდებარებიან მთავრობის კონტროლს, უნდა მოახდინონ საბანკო სისტემაში მთელი სავალუტო ამონაგების რეპატრიება. გარდა ამისა, ექსპორტის 8-პროცენტიანი გადასახადი იმ ქვეყნებში, რომლებიც არ შედიან მანეთის ზონაში, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაუქმდეს. საგარეო ვაჭრობის განვითარებისადმი კონტროლის გაუმჯობესებისა და დუბლირების თავიდან აცილებისათვის, მისია რეკომენდაციას იძლევა გაუმჯობესდეს კოორდინაცია ისეთ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც პასუხს აგებენ საგარეო ვაჭრობის შესახებ მონაცემების შეგროვებისათვის, როგორიც არის საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტი, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი და საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი და ბოლოს, მისია მოუწოდებს ხელისუფლების ორგანოებს, რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრან საკითხი საქართველოს პასუხისმგებლობის შესახებ ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო ვალის თავისი წილისათვის და კეთილსინდისიერად შეასრულონ მიღებული შეთანხმების პირობები.

ხელისუფლების მიერ დასახული სხვადასხვა ინიციატივის წამოწყებაში თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ციფრებით გამოხატული მაკროეკონომიკური პროგრამის შემუშავებას ძირითადი რეალური და ფინანსური ცვლადი მაჩვენებლების მიხედვით. მისიამ მოამზადა დამოუკიდებელი დოკუმენტი („საქართველოში ფინანსური პროგრამის შემუშავება"), რომელშიც ჩამოყალიბებულია ერთ-ერთი შესაძლო მიდგომა.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი ადეკვატური სტატისტიკური ჩარჩოების შემუშავებას, რომელშიც პირველ რიგში გათვალისწინებული იქნება საქართველოს პარლამენტში სტატისტიკის დარგში კანონმდებლობის უსწრაფესი მიღება და საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის საკადრო და საფინანსო რესურსებით გაძლიერება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია დაჟინებით მოუწოდებს ხელისუფლების ორგანოებს, რაც შეიძლება სწრაფად განახორციელონ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკის სამმართველოს სხვადასხვა მისიის რეკომენდაციები, მათ შორის ამჟამად თბილისში მყოფი მისიის მოხსენებაში მოცემული რეკომენდაციები საგადამხდელო ბალანსის პრობლემებზე.

---

[1] მაგალითად, წინასწარი ოფიციალური მონაცემებით, 1992 წელს ხელფასის ზრდამ ნომინალური გამოხატულებით გადააჭარბა საცალო ფასების ზრდის ტემპს.

1) მისია აგრეთვე გვაფრთხილებს, რომ საშიშია „შემდგომი გამოხყიდვით იჯარის შესახებ" წინათ დადებული ხელშეკრულებების რეტროაქტიული შეცვლა, რადგან „წესების შეცვლა შუა თამაშში" ფრიად უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს ინვესტორთა ინტერესებს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

HAVER

ოღონდ ავად ნუ გაგვიხდებით!

მაგრამ თუ მაინც შეგვაწუხა სენი, „HAVER"-ი თქვენთან არის!

დაიმახსოვრეთ:

HAVER PHARMACEUTICAL

ფირმა „HAVER"-ის სხვადასხვა დანიშნულების მედიკამენტები, ნივთიერებები ... ნომერ № 36 ... ფ. 33ა.

„HAVER"-ის ... ESABL ...

საქართველოს რესპუბლიკა

რაულ ეშბა:

„ხალხს შეგნებული აქვს ამ ომის უაზრობა“

საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრება აფხაზეთის ხნის კონფლიქტის წევრს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრს რაულ ეშბას.

— როგორ აფასებთ აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას რუსეთ-საქართველოს სოჭში გამართული მოლაპარაკების შემდეგ?

— სიტუაცია, რა თქმა უნდა, ძალზე რთულია, მაგრამ დაისახა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზები. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სოჭში გამართულ მოლაპარაკებაზე მიღწეული შედეგები, რომლებიც უქმნიან საფუძველს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის...

კულუარებში

ძალიან ცუდ ხასიათზე გამოვიდა მოლაპარაკების დარბაზიდან საქართველოს თავდაცვის მინისტრი. 8 აპრილის სხდომა ჯერ არც იყო დამთავრებული.

გამოვიდა და ჩასაფრებულ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოლაპარაკება ჩიხში მოექცა.

— ბატონო თენგიზ, რას მივაწეროთ ასეთი მოულოდნელი შემობრუნება? რა მოხდა?

— მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეჭვები, რომლებიც მქონდა, თანდათან მართლდება.

— ეჭვები რის?

— იმის, რომ ეშერიდან არ გავიდოდნენ. ჩვენ არ ვიცით, რაზე შეთანხმდნენ რუსეთის დელეგაციის წევრები ერთმანეთში, მაგრამ, რომ არ გადიან, ფაქტია. უამისოდ კი ყველაფერს აზრი ეკარგება. ომი გაგრძელდება, მაშასადამე, ვერ მოგვარდება პოლიტიკური საკითხები. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება. ყველაფერი ერთმანეთზეა მიბმული.

— ბატონო თენგიზ, ჩვენი დელეგაციის წევრებიდან გრაჩოვს ყველაზე ახლოს და უკეთ თქვენ იცნობთ. ყოველთვის, ასეთი გაორებული პიროვნებაა, თუ ვინმე მართავს?

— გრაჩოვზე არაა ეს დამოკიდებული. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სამხედრო სექციის რუსულმა მხარემ. ამ დილით გაყვანაზე თანახმანი იყვნენ, მაგრამ ამ საღამოს შეტრიალდნენ.

ისევ ძალზე დაიკიდა საკითხი და ისიც მაშინ გაწყდება, თუ დელეგაციის ხელმძღვანელი — გრაჩოვი თავის ექსპერტებს დაეთანხმება, და კვლავ იტრიალებს სიკვდილის მანქანა აფხაზეთში.

მადლობა ღმერთს, რომ სასიამოვნო ამ ფონზე რაღაც მაინც ხდება — კოკა ყანდიაშვილს, ჩვენს კოლეგა ტელეჟურნალისტს თბილისიდან დაურეკეს, გოგო შეეძინა...

ეზად დაშლა, როგორიცაა პრეზიდენტი და პარლამენტი, დემოკრატები და წითელ-მიხაკისფერები, ნეობოლშევიკები, ამოწურავს პასუხს კითხვაზე — რატომ იყო სოჭში რუსეთის პოზიცია ასე ცვალებადი, უკიდურესობიდან უკიდურესობამდე ამპლიტუდით?

დაპირისპირება რუსეთის პოლიტიკურ თაეტრში ახლა გაცილებით მრავალწახნაგოვანია, რადგან პოლიტიკური ძალები თუ მიმართულებანი გამრავლდა საოცრად. ლაპარაკია სერიოზულ პოლიტიკურ ძალებზე, რომლებსაც გარკვეული გავლენა აქვთ პარლამენტში, მთავრობაში და გამოხატავენ პოლიტიკური, სოცია-

ომ არ დატოვებენ მისი ჯარის ნაწილები ამ ობიექტს.

რა თქმა უნდა, გამორიცხული იყო, რომ რუსეთის მხარე შეცვლიდა ამ პოზიციას. გამოსავალი კონტროლის ერთობლივ ფორმაში უნდა მოძებნილიყო და მთელი ომი მუშაობდნენ ექსპერტები სამხედრო სექციისა თუ კომისიაში კონსენსუსი, გამოსამუშავებლად.

ბოლოსწინა პლენარულ სხდომაზე მდგომარეობა ისე დაიძაბა, დაპირისპირება და არდათმობა ისე აქიდა აპოგეამდე, რომ უკვე იქვე არავის ეპარებოდა — ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალი ამ თავყრილობის მიტოვება იქნებოდა. საკითხავი ის იყო, ვინ

დაგვიანებული რეპორტაჟები „ჭემჭუჭინიდან“

საქართველო-რუსეთის 6-9 აპრილის მოლაპარაკების კვალზე

3. ვინ გადაქაჩა ბაგირი?

ლური, ეკონომიკური ელიტის თუ ფსევდოელიტის, ინტერესებს, რომლებიც პოლარულად უპირისპირდება უფრო ხშირად ერთმანეთს.

დღეს, ალბათ, არასერიოზული იქნება იმისი მტკიცება, რომ ამ პოლიტიკურ სოდომს რუსეთში ვინმე არეგულირებს, ერთ მნიშვნელოვან უყრის თავს: რომელი ძალაც რომელ მომენტში იმძლავრებს...

ჯერ ძალიან მეორეხარისხოვანიც. ამავე დროს არავის ახსენდება აფხაზეთიდან იმ 60 ათასი ლტოლვილის ბედი, რომელთაც დროებითი თავშესაფარი ჰპოვეს რუსეთში, უმთავრესად სოჭში.

განა შეიძლება დიდი პოლიტიკის გაკეთებისას კონკრეტული ადამიანების დავიწყება? ისე რომ, შემდგომი შეხვედრის დაგეგმვისას, ჩემი აზრით, ეს საკი-

ყვანის თაობაზე.

რუსეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ეს მათ კომპეტენციას აღემატება, მაგრამ ისინი მზად არიან მოამზადონ ეს საკითხი უმაღლეს დონეზე შეხვედრისათვის.

საბოლოოდ შეუთანხმებელი დარჩა ეშერიდან რუსეთის სამხედრო ფორმირებების გაყვანის საკითხი. ჩვენ პრინციპულად მოვითხოვდით მათ გაყვანას. რუსეთის მხარე გვთავაზობს, რომ შეიქმნას შერეული ნაწილები, ჩვენი კონტინგენტიც იქნება მათ შორის, წარმოდგენილი, რათა დაიცვან ლაბორატორიის ტერიტორია. ჩვენ ამ კომპრომისულ წინადადებას დავეთანხმეთ, რადგან ის უკეთესია, ვიდრე არაფერი.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ პირველ დღეს დათანხმდნენ თავიანთი კონტინგენტის გამოყვანას. მერე სიტუაცია შეიცვალა, სხვა ძალები ჩაერივნენ, უარი განაცხადეს, და შუალედური წინადადება არის მიღებული: ეშერაში დატოვებენ საინჟინრო მოწყობილობას და ამასთან ერთად მას შერეული კონტინგენტი დაიცავს.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ოქმში გაჩნდა ჩანაწერი, რომ საქართველოს საზღვრებს რუსეთთან — საზღვაოს და სახმელეთოს — დაიცავს საქართველოს სასაზღვრო ნაწილები.. ამ შეთანხმების მისაღწევად საკმაოდ დიდი წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიხდა, მაგრამ საბოლოოდ ასე დაფიქსირდა.

სავაჭრო ეკონომიკურ შეთანხმებას რაც შეეხება, უნდა გითხრათ, რომ კარგი შედეგებია მიღწეული...

საკმაოდ მკაცრი არგუმენტები აქვს ამ ვერსიასაც.

და არც რუსეთის დელეგაციის უკან მდგომი პოლიტიკური ძალების ისეთ მარტივ შემადგენლ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 75, 76.

● **დილით** პავლე გრაჩოვმა პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ ეშერის ლაბორატორიას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პლაცდარმი ფართომასშტაბიანი სტრატეგიული შეტევისათვის და სწორედ ამიტ-

მა მოადგილემ უკლებამ, და ის დოკუმენტი, რომელსაც საბოლოოდ მოაწერეს ხელი, მნიშვნელოვანწილად მისი შეუპოვრობის შედეგია).

ისევ დაძაბული ლოდინი და, თითქოს პრობლემები გვაკლდა, სოჭის პრესმდივანმა (ჭქონიათ ასეთი თანამდებობა) იგორ სიზოვმა ქალაქის ადმინისტრაციის ხე-

და იქვე პირველი ინტერვიუ ბატონ თენგიზ სიგუასთან.

— ბატონო თენგიზ, კმაყოფილების გრძნობა თუ გაქვთ?

— სრული კმაყოფილების გრძნობა, ცხადია, არა გვაქვს, მაგრამ ამ ოქმის ხელმოწერა მაინც აუცილებელი იყო.

ამ დოკუმენტში პირველად არის გამოთავსებული ყველა

...ვი უმაღლესი დონის შეხვედრას.

არმაზ სანებლიძე.
სოჭი-თბილისი.

სურათზე: ასე მუშაობდა ჟურნალისტთა კორპუსი „ჭემჭუჭინაში“.

ვანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა, სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისათვის“).

იძარცვება საქართველო!..

ფერადი ლითონების დატაცებამ აპოგეას მიაღწია, ინგრევა სახალხო მეურნეობა, განმკითხავი კი არავინაა

რესპუბლიკაში შექმნილი რთული ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ფართოდ გავრცელდა სახელმწიფო ქონების ხელყოფის სრულიად ახალი მძიმე ნაირსახეობა — ფერადი ლითონების დატაცება, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების ფუნქციონირებას და ქვეყნის წინსვლის დაჩქარების დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდა. ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგომომარაგების სისტემაში ფერადი ლითონების უმოწყალო დატაცებამ სახელმწიფოს მილიარდობით მანეთის ზარალი მიაყენა, შექმნა სოციალური აფეთქების საშიშროება. თუ ასე გაგრძელდა, მალე არ გვექნება ტრანსპორტი, ელექტრობა, ტელეფონი და ქვეყანას ბნელეთი მოიცავს, — გამოითქვა შეშფოთება რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე, რომელმაც განიხილა საკითხი „საქართველოს რესპუბლიკაში ფერადი ლითონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“. საკითხების აქტუალობისა და სიმწვავის გამო, კოლეგიაზე მოწვეულნი იყვნენ რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს, „საქენერგოსა“ და რკინიგზის დეპარტამენტების, თბილისის მეტროპოლიტენის, საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელი მუშაკები, რაიონებისა და ქალაქების პროკურორები. რატომღაც სხდომას არ ესწრებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. ეს კი აუცილებელი იყო, რადგან ამ სამინისტროსა და მისი ქვედანაყოფების მისამართით გამოითქვა მრავალი კრიტიკული შენიშვნა და საყვედური. უფრო მეტიც, ხაზი გაესვა ამ ორგანოს ზოგიერთი მუშაკის დანაშაულებრივ ქმედებასაც.

წინა წლებში რესპუბლიკაში მსგავსი დანაშაულის ფაქტები თუ იშვიათი იყო, შარშან იგი ნიაღ-

მელიც არ იღებს ქმედით ზომებს უკანონობისა და სახელმწიფო სიმდიდრის ხელყოფის თავიდან

...ლოვანელობა დაინტერესებულა, რათა დამნაშავეებს შესაფერისი პასუხი აგოთ. გორის სარაიონთაშორისო პროკურატურამაც წაუყრუა საქმეს.

ხშირია შემთხვევები, როცა საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები მომხდარი დანაშაულის შესახებ ან სულ არ ატყობინებენ პოლიციას ან ატყობინებენ დიდი დაგვიანებით. ეს იმ-

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში

იტომაც ხდება, რომ იმედი არ აქვთ მათი მხარში ამოდგომისა და თვითონვე ცდილობენ დამნაშავის მოძებნას. ამით ძნელდება, ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება დანაშაულის გახსნა „ცხელ კვალზე“, დამნაშავეთა მოძებნა. მარნეულის კავშირგაბმულობის კვანძის ხელმძღვანელობამ, პირადად მისმა უფროსმა თ. ბაბლუანმა მოხდენისთანავე შეიტყეს, რომ შულავერში დაიტაცეს ოთხი გრძივი კილომეტრი სატელეფონო კაბელი, მაგრამ პოლიციას არ შეატყობინეს, ასე გაი-

(დასასრული 3-ე გვ.)

„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“

ამ დღეებში ქართლის მეთაური ქალაქის წარმომადგენლობითი დელეგაცია სამართალდამცავი, მაკონტროლებელი, ჯანმრთელობის, სატრანსპორტო, სოფლის მეურნეობის, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების — დემოკრატიული კავშირის, ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ქ. გორისა და გორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ელგუჯა ვეშაპურის თავკაცობით ესტუმრნენ სოხუმსა და მის გმირ დამცველებს.

სატვირთო მანქანების კოლონამ ადგილზე ჩაიტანა 7 ტონა ვაშლი, 1 ტონა შაქარი, 400 კილოგრამი ბურღული, 1,5 ტონა ხორცი, 5400 ცალი კვერცხი, 1 ტონა მარგარინი, 6 ტონა ფქვილი, 3,5 ტონა კარტოფილი, 3 ტონა ხახვი, საკონსერვო ნაწარმი, სიგარეტი, ასანთი, მედიკამენტები, თბილი ტანსაცმელი, სულ 40 ტონაზე მეტი პირველი მოთხოვნილების საქონელი.

„აფხაზეთზე გრაჩოვს თვალი უჭირავს“

...

კონსტიტუციის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

...

ტაციაზე“ ფიქრობენ — არძინბას ახალ საომარ გეგმებს სთავაზობენ, ამასთან, ეტყობა, მოწყინდათ „იატაკქვეშ“ ყოფნა, სურთ გამოჩნდნენ, ყველას თვალწინ „კანონიერად“ იომონ. როგორ მოახერხონ ეს? ამ დღეებში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება ორმაგი მოქალაქეობის შესახებ, ანუ, როგორც მასშია აღნიშნული, „ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს მოქალაქე შეიძლება იყოს აფხაზეთის მოქალაქე“. ეს დადგენილება ფაქტობრივად მოუწოდებს ყველა ჯურის დამნაშავეებს — ბანდიტებს, მკვლელებს, ნარკომანებს, ჩამოვიდნენ და როგორც უკვე აფხაზეთის მოქალაქეებმა, იბრძოლონ მოძმე ქართველების წინააღმდეგ ახლადშეძენილი სამშობლოს — აფხაზეთის გადასარჩენად.

სკვერი, მებაღის მონოლოგი

ვისაც არ გიმგზავრიათ ლაბრა-ტამიში-კინდღის მიმართულებით, გთხოვთ, კვლავაც თავი შეიკავოთ. საქმე მარტო ის როდია, რომ გზის ეს მონაკვეთი დღისითაც კი სახიფათოა, ისეა ეს ულამაზესი მხარე დაჭრილ-დასახიჩრებული, ტირილი მოგინდებათ. ნასახლარები (სადღაა სახლები!), დანგრეული ხიდები, ფესვიანად ამოთხრილი ხეები, აფეთქებული გზები, დახოცილი პირუტყვი, უპატრონოდ მიტოვებული ნაყოფით დახუნძლული მანდარინის ბაღები, გავერანებულ-გაველურებული ჩაის პლანტაციები.

დამძიმებული ფიქრებით გადავიარეთ კელასურის ხიდი და სოხუმში შევედით. მანქანების ქარავანი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობის წინ გაჩერდა. ვიდრე გაარკვევდნენ, ფრონტის რომელ უბანს იცავდნენ გორელები, იქვე, სკვერში შევედი და სკამზე ჩამოვჯექი.

საგზაო ჩანაწერები

სკვერში მოხუცი მებაღე დეკორატიულ ბუჩქებს სხლავდა, ისეთი ხალისითა და სიმსუბუქით მუშაობდა, ეტყობოდა, რომ ამ საქმის ოსტატი იყო. გამოველაპარაკე. „ახლა აღარ გვიჭირს, თქვა მოხუცმა, მძიმე დღეები გადავიტანეთ. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი დაკარგული იყო, მაგრამ ღმერთმა ინება და გადავრჩით“.

მოხუცი ჩემს გვერდით, მერხზე ჩამოჯდა, მუხლი გაშალა, ცოტა ამინდზე ილაპარაკა, ცოტა — პურის რიგებზე, თან საიდუმლო გამანდო: „საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელობას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მთელი ჩემი არსებით პრეზიდენტყოფილის მომხრე ვარო“.

კარგა ხანს კიდევ იყუჩა, ბოლოს, სინანულით თქვა: „პრეზიდენტის ოჯახს ცოტა გონიერება რომ გამოეჩინა, ჩვენების ხიზანი არ გახდებოდაო“. „ედუარდ ბატონს რამდენი პკუაც ფრჩხილში აქვს, იმ უბედურს რომ თავში ჰქონოდა, სამათხოვროდ სხვის კარზე არ აღმოჩნდებოდაო“.

არძინბა რომ მიწებს ჰპირდებოდა

შეხვედრა თანამოქალაქეებთან ამაღელვებელი იყო. წინა დღეებში აქ გამართული ფიცხელი ბრძოლე-

...

საბანძემ თავისიანები მონახულა, საჩუქრები გადასცა და მალე შინ მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

ავტომანქანები საწყობებთან მიაყენეს, ჩვენ კი გორის ბატალიონის უფროსთან პოლკოვნიკ პაატა ბედიანაშვილთან და ელგუჯა ვეშაპურთან ერთად ფრონტის ხაზს მივაშურეთ. ადგილზე, „საქმეში“ ვნახეთ გორელები — ჩინებულად იბრძვიან, საიმედოდ იცავენ პოზიციებს, ერთადერთი, რის უქონლობასაც მწვავედ განიცდიან — ეს არის ღამით ხედვის ხელსაწყოები.

— ამ დღეებში აქ გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა — გვითხრა ბატალიონის უფროსის მოადგილემ გივი ჭეპელაშვილმა — აფხაზთა მხარემ ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის დიდი დანაკლისი განიცადა. ბრძოლები რომ მიწყნარდა, აფხაზებმა გვთხოვეს, — ჩვენი მიცვალებულები დაგვიბრუნეთო. ორი „კამაზი“ და ერთი „მაზი“ მკვდრებით ავავსეთ და აფხაზებს გავუგზავნეთ, ამასობაში მანდარინის ბაღებში და ახლომახლო ტყეებში ერთი ამდენი მკვდარი კიდევ მოვუგროვეთ, მაგრამ, რადგან მათში აფხაზი ცოტა ერია, აღარ წაიღეს, რაც გინდათ ის უყავითო.

მართლაც, თითქმის ყველა ან რუსი იყო ან ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოთესლილი მოხალისე. ამ ხალხს არძინბა ჰექტრობით სამოსახლოს ჰპირდებოდა, მიწები კი მიიღეს, მაგრამ უკვე სიკვდილის შემდეგ, თანაც გაცილებით ნაკლები — 1 მეტრიX2 მეტრზე.

იუდა

ბარძაუში დაჭრილი უკვე მეოთხე დღე უმწეოდ ეგდო თხრილში, ტკივილებისაგან იკრუნჩხებოდა და საშველად მაინც ვერავის უხმობდა — არ ჰქონდა ამის მორალური უფლება და მაინც ბოლოს ვეღარ გაუძლო ტკივილებს და ხმამაღლა კვნესა აღმოხდა — „მიშველეთო“.

იქვე,ჩვენი მებრძოლები მტრის გვამებს აგროვებდნენ. კვნესა მოესმათ და თხრილში მწოლიარეს თავზე წაადგნენ: ღევივით ახალგაზრდა კაცი რის წვალებით ზურგში, სოფელში გადაიყვანეს და ადგილობრივმა გვარდიელებმა მასში აფხაზების მხარეზე მებრძოლი ამ სოფლის მკვიდრი შეიცნეს...

დაწვრილებით გამოჰკითხეს — როგორ მოხვდა არძინბას სამსახურში, რას აკეთებდა, რატომ იბრძოდა ჩვენების წინააღმდეგ, რამდენ ვერცხლს აძლევდნენ გასამრჯელოდ და ა. შ. ბევრი იუარა გააფხაზებულმა ქართველმა, სოხუმის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა, მაგრამ ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი რომ ჩამოუთვალეს, პირქვე დაემხო და — ნუ მომკლავთო! — ბღაოდა.

ქანთარიას უთქვამს

სოხუმიდან წამოსვლისას ჩვენი ცნობილი მელიტონ ქანთარია მოვიკითხე. მოსკოვშიაო, მითხრეს. მესიამოვნა, რომ ისევ მხნედ გრძნობს თავს. 73 წლის ყოფილ მზვერავს, თავის დროზე მტერს ბერლინი რომ მიუგრიხა და მოუგრიხა და რაიხსტაგის გუმბათზე გამარჯვებული ქვეყნის დროშა აფრიალა, უთქვამს, რომ სანამ საქართველოს დროშას გუდაუთის ადმინისტრაციის შენობაზე არ აღვმართავ...

ზურაბ ვაშაკიძე.

...

გურამ ბარამიძე.

იძარცვება საქართველო!..

ფერადი ლითონების დატაცებამ კატასტროფული ზომები მიიღო, ინერტულია სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით კი არაფერი

[illegible]

...გამწვარებული იტყობინებოდნენ სპილენძის შემაერთებლების დაჭრა-მოპარვას. მას ეს შეტყობინებანი შემდგომში ყოველგვარი შემოწმების გარეშე ჩამოაწერა თბილისის სახაზო პოლიციის განყოფილებამ. ასეთი დაუდევრობა თუ ულმობლობა ტრანსპორტის პოლიციის სამსახურის მუშაკთათვის ქრონიკულ სენად იქცა. მათ მიერ უსაფუძვლოდ არის ჩამოწერილი ამავე დისტანციიდან მიღებული წერილობითი შეტყობინებანი სხვადასხვა დროს სპილენძის შემაერთებლების, დროსელების, ფერადი ლითონებისა და სხვათა დატაცებებზე, რომელსაც ნ. ჯანჯღავაშვილი იკვლევდა. საერთოდ, თუმცა, ფრინაობს სატრანსპორტო პოლიცია და მას გაძლიერებული ძალები ჰყავს, რკინიგზაზე ქურდობასა და ბანდიტობას ბოლო არ ეღება. უკანასკნელად რუსთავში ქურდობაში მხილებული იქნენ ხელმძღვანელი რკინიგზელები. ეს ფაქტი აღმაშფოთებელია, თუმცა, კომენტარს არ საჭიროებს.

სახელმწიფო აღრიცხვაზე დანიშნულის აუყვანლობისა და მიჩქმალვის ფაქტები გამოვლინდა ქ. ქუთაისში, ქარელის, გარდაბნის, გორისა და სხვა რაიონებში.

როგორც კოლეგიაზე აღინიშნა, პოლიციის ორგანოებში დამკვიდრდა ერთი კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკაც. შემხვდარ დანაშაულობებზე განზრახ ატარებენ არასრულფასოვან მოკვლევას, რათა მერე შეძლონ, გამოიტანონ დადგენილებანი საქმეთა არ აღძვრაზე. ეს დანაშაულებრივი მოქმედება შესაბამისი პროკურორების ზედამხედველობის გარეშე რჩება. მ. გელაშვილმა თბილისის სალოკომოტივო დეპოს ელმავალს მოხსნა ელექტროსადენები და მოიპარა. სადგურ თბილისი-სახალხოს პოლიციის გამომძიებელმა თ. ოფციაურმა არ განსაზღვრა მიყენებული ზარალის სრული ოდენობა, ელექტროსადენების მთლიანი ღირებულება და დამნაშავის ქმედება დააკვალიფიცირა, როგორც სახელმწიფო ქონების წვრილმანი დატაცება მაშინ, როცა საქმე გვქონდა სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთან. პოლიციის ამავე განყოფილების გამომძიებელმა თ. ჩიტაძემ ანალოგიური მეთოდით წარმართა გ. ცხოვრებოვისა და დ. სარქისოვის საქმე, რომლებმაც იქვე ჩაიდინეს ისეთივე დანაშაული და მათაც წვრილმანი ქურდობის მუხლი მიუყენეს. ყოველივე ეს მოხდა პროკურორ თ. ონიანის წაყრუებით. სადგურ გურჯაანის პოლიციის გამომძიებელმა ჩიკვაიშვილმა კი უფრო შორს შეტოპა, გააყალბა საქმე და გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელობაზე გ. მათიაშვილის, ტ. მამულაშვილისა და სხვათა მიმართ, რომლებმაც სადგურ მილაანში მოიპარეს დროსელ-ტრანსფორმატორი. მოტივი სავსებით გაუგებარი იყო — თითქოს იგი იპოვეს რკინიგზის მახლობლად. ცხადია, ამ საქმეზე არ ჩატარებულა სასაქონლო და ტექნიკური ექსპერტიზები, არც დაზარალებული ორგანიზაცია დაუდგენიათ.

კოლეგიის სხდომაზე მოიყვანეს უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის სხვა ფაქტებიც, ამხილეს კონკრეტული დამნაშავენი. სადგურ ლილოში გაიტაცეს სპილენძის ოთხი შემაერთებელი, რომელზეც სისხლის სამართლის საქმე გამომძიებელმა ო. ჩომახაშვილმა მასალების მიღებიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ აღძრა. სამტრედიის რკინიგზის პოლიციისათვის მოხდენისთანავე გახდა ცნობილი სამტრედია-საჯავახოს გადასარბენზე ტრანსფორმატორებისა და ელექტროკაბელების დატაცების ფაქტი, მაგრამ მასალები გამოძიებას მხოლოდ ორი თვის შემდეგ გადაეცა. სამტრედიის პროკურატურამ (პროკურორი დ. იმნაიშვილი, გამომძიებელი ა. კობერიძე, მოადგილე ს. შენგელია) საქმის გამოძიება არც მერე დააჩქარა. თვენახევარზე მეტი ხნის დაგვიანებით გადაეცა გამოძიებას აგრეთვე მასალები სადგურ სამტრედია-II-ში დროსელ-ტრანსფორმატორების დატაცებაზე. სამწუხაროდ, სამტრედიაში ასეთი მოვლენა იშვიათი როდია. საყვედური ითქვა ბაღდათის რაიონის პოლიციის მისამართითაც. უბნის ინსპექტორმა კაცაძემ ჯერ გაჭიანურა სოფელ სა-

[illegible]

ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ფირმა „ვაზის“ ხელმძღვანელების ელინე დუმბაძისა და ჯემალ იმნაძის მიმართ. მას საფუძვლად დაედო ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგისაში ბერიძის ეზოში აღმოჩენილი თურქეთის რესპუბლიკის ორი სატვირთო ავტომობილი, რომელზეც 41 ტონა სპილენძის ჯართი იყო დატვირთული. ფირმის მესვეურთ იგი თურქეთში გასაგზავნად ჰქონდათ გამზადებული. ისე გავიდა თვენახევარი, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის თითი თითზე არავის დაუკარებია. როგორც იქნა, საქმე წარმოებაში მიიღო ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა დ. კორძაიამ. თავის მხრივ ოთხი თვის განმავლობაში მანაც არაფერი იღონა, გარდა იმისა, რომ დაკითხა მხოლოდ ორი ეჭვმიტანილი პირი. ერთ მშვენიერ დღეს კი ჯართით დატვირთულმა ავტომანქანებმა გეზი თურქეთისაკენ აიღეს. დღესაც არავინ იცის ვის ეკუთვნოდა ასეთი დიდი ოდენობის სპილენძი, საიდან მოიტანეს იგი, ვისი ხელისშეწყობითა და ნებართვით გაიგზავნა უცხოეთში და სხვა მრავალი რამ. ბოლოს გაკვირვებას იწვევს შემდეგი გარემოება: არსებობს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის (სამუშაოთა მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზიების დროებითი წესების შესახებ“, რომლითაც დროებით აიკრძალა ფერადი ლითონების ჯართის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანა. საბაჟო სამსახურმა კანონი არად ჩააგდო და ტვირთი დაუბრკოლებლივ გაატარა. თუმცა ეს არც პირველია და არც უკანასკნელი. საბაჟო ორგანოების მუშაობა რომ ვერაფრით უპასუხებს მოთხოვნილებას, ეს საყოველთაოდ ცნობილია. მისი პოზიცია ამ საქმეში უაღრესად პასიურია. მათი უშუალო მონაწილეობით სისტემატურად ხდება დატაცებული ტვირთების თურქეთში გატანა. საბაჟოთა არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ განვლილ 14 თვეში მათ სახელმწიფო ორგანიზაციებსა და კერძო პირებს ჩამოართვეს მხოლოდ 100 ტონამდე ფერადი ლითონი, როცა მასშტაბები გაცილებით დიდია, სამართალდამცავი ორგანოებისთვის კი გადაცემულია მისი გატანის ერთადერთი ფაქტი.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში

ის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის (სამუშაოთა მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზიების დროებითი წესების შესახებ“...

სასაქონლო ექსპერტიზის უგულებელყოფის გამო დაუდგენელი რჩება გატაცებული ქონების რეალური ღირებულება. ნაძარცვ სპილენძს მიიჩნევენ ჯართად და აფასებენ მოძველებული პრეისკურანტით — კილოგრამს 500 მანეთამდე. ისინი, ვისაც ეს ეკისრებათ, არც იმას არაფრად დაგიდევენ, დამნაშავემ ნაძარცვი სპილენძით რაოდენ ძვირი ღირებულების მოწყობილობა გამოიყვანა მწყობრიდან, ამით ქმნიან დამნაშავეთა „შენდობის“ ჰავლა პირობას. დაუჯერებელია, ყოველივე ეს ქვენაგრძნობების გარეშე ხდებოდეს. უთუოდ ასეთი აზრი შეიქმნება ყველას, ვინც გ. პოპოვის, ე. კარაპეტოვისა და ძმათა მათთა საქმის გაეცნობა. იგი სადგურ ლილოს ტერიტორიაზე ოთხი ცალი სპილენძის შემაერთებლის გატაცებას შეეხება. თბილისის სამგორის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა რ. ჩომახიშვილმა საქმე შეწყვიტა დანაშაულის არარსებობის მოტივით, მაშინ, როცა ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დამნაშავეთა ქმედებით საფრთხე ექმნებოდა მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობას. აღნიშნული არასწორი დადგენილება პროკურორმაც უყოყმანოდ დაამტკიცა.

თუ რაოდენ შორს მიდის სამართალდამცავი მუშაკების რისკი და უპასუხისმგებლობა, ეს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტით: ბოროტმოქმედებმა სადგურ იორის

[illegible]

...შემორიგდა, რომელიც აგაზაკებმა ფიზიკური მუქარით დააშინეს. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ხუთი თვის გასვლის შემდეგ აღიძრა და თანაც არასწორი კვალიფიკაციით. საქმის ბედით არ დაინტერესდა გურჯაანის რაიონის პროკურატურა და მთლიანად ზედამხედველობისა და რეაგირების გარეშე დატოვა იგი. რაც საოცარია, ტექნიკური ექსპერტიზით ისიც კი არ გაარკვიეს, აგრეგატების განადგურებით ექმნებოდა თუ არა საფრთხე მატარებელთა მოძრაობას. ორთვიანი ვადის შემდეგ რკინიგზის კვანძის პროკურორმა შ. გოგოლაძემ და გამომძიებელმა ვ. ჩიკვაიშვილმა მძიმე დანაშაულზე გამოძიება უსაფუძვლოდ შეაჩერეს. ასევე მოიქცნენ ქ. ქუთაისის პროკურორი შ. კვარაცხელია და გამომძიებელი თ. ივანეიშვილი სადგურ ბროწეულაში 112 ათას მანეთად ღირებული ორი დროსელ-ტრანსფორმატორის გატაცების ფაქტზე. აშკარად უპასუხისმგებლოდ მოიქცა ახალციხის რაიონის პროკურატურა (პროკურორი გ. მარტინიძე) ახალციხის მაგისტრალური კვანძის უფროსის შეტყობინებას სატელეფონო ხაზებზე სპილენძის სადენების ქურდობის ფაქტზე და პერსპექტიული საქმე გაუხსნელი დარჩა. დამნაშავეთა ასეთი შემწყნარებლობა და აშკარა დაფარვა ქმნის დაუსჯელობის სინდრომს და თანაც ქურდობა ბევრს საჩოთიროდ აღარ მიაჩნია. ამ ნათქვამს ადასტურებს მრავალთაგან ერთ-ერთი ამაზრზენი ფაქტიც, რომელიც კოლეგიაზე აღინიშნა. დუშეთის სკოლა-ინტერნატის პედაგოგმა ქეთევან ბახუაშვილმა მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეებს სპილენძის ქურდობისაკენ უბიძგა და დააინტერესა ფულით. მათაც სოფელ ცხვილიანთკარში ჩამოჭრეს 110 გრძივი მეტრი სატელეფონო კაბელი და მიიტანეს, რაშიც ახალგაზრდებს „აღმზრდელმა“ გარკვეული თანხა გადაუხადა, სახელმწიფოს კი 60 ათასი მანეთის ზარალი მიაყენა. აი, სადამდე მივედით, პედაგოგი თავად თესავს უზნეობის თესლს. სამწუხაროდ, ასეთ ქურდობაში მოსწავლეთა დიდი ჯგუფები მონაწილეობენ სხვა რაიონებშიც.

ფერადი ლითონების დატაცების წინააღმდეგ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგიცაა, რომ პროკურორები ადგილებზე ვერ ფლობენ ოპერატიულ ვითარებას. ამას კი ბევრი ფაქტი ადასტურებს. თბილისის სამგორის რაიონის პროკურატურამ რესპუბლიკის პროკურატურას ოფიციალურად აცნობა, რომ რაიონში ფერადი ლითონების დატაცების ფაქტები არ ყოფილა და სისხლის სამართლის საქმეც არ აღძრულა. ფაქტობრივად აღძრულია ორი ასეთი საქმე და ერთი სასამართლოშიც კი წარიმართა. ასეთი თვითკმაყოფილი პატაკი შეუდგენია გლდანის რაიონის პროკურატურასაც. ფაქტობრივად კი ამ რაიონში უარესი მდგომარეობაა. ფერადი ლითონის დატაცებაზე აღძრულია 5 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის 2 სასამართლოში წარიმართა, სამი კი გაუხსნელობის გამო შეჩერდა. რა არის ეს? თვალის ახვევა, მოტყუება, თუ?...

განუკითხაობამ და ქაოსმა, რასაც ადგილი აქვს ფერადი ლითონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში, ასე მწვავედ უფრო იმიტომ მოიკიდა ფეხი, რომ პროკურატურის ორგანოები მტკიცედ არ იღვწიან საამისოდ. სავსებით არადამაკმაყოფილებელია საპროკურორო ზედამხედველობა ამ საქმეში, — ეს დაუფარავად ითქვა სხდომაზე. აღინიშნა, რომ აუცილებელია ბოლოსდაბოლოს ზღვარი დაედოს ქვეყნის დამღუპველ არანორმალურ მოქმედებას, ძირშივე აღიკვეთოს დანაშაული და დამნაშავეთა ბოგინი. ყოველივე ამან სრულყოფილი ასახვა ჰპოვა მიღებულ კონკრეტულ დადგენილებაში, რომლის განხორციელებაზე დაწესდა მკაცრი კონტროლი. ზედამხედველობისთვის კი კოლეგიამ ცალსახად მოითხოვა: სანამ ერთიანად არ გაიძარცვება ქვეყანა, ერთხელ და სამუდამოდ აიკრძალოს ფერადი ლითონების ექსპორტი და რეექსპორტი.

ეს კი აუცილებელია, რადგან იძარცვება და იყიდება საქართველო!

დავით ბიჭაძე.

ბოროტების დიდი უნარი ახასიათებს ბოროტებას, სიავკაცეს-შუღლს, ეწერთ წინ ხილვაში. სამწუხაროდ, მართლაც ასეა. „სისხლი სისხლისა წილ“, მერწმუნეთ, ყველაზე ცუდი გამოსავალია ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის.

ᲓᲘᲓᲘ ტრაგედია დატრიალდა 8-10 აპრილს ყვარლის რაიონში. დღისით, მზისით, 18 საათზე ახალგაზრდა კაცმა სოფელ გავაზის ცენტრში ჩაქოლა უმუშევარი დ. ახიტიშვილი და გადაწვა გვარდიის ოფიცრების ვ. აშვლედიანისა და დ. ორველაშვილის სახლები. მოსახლეობა შურისძიების ამ უკიდურეს და, ამასთან, კატეგორიულად მიუღებელ ფორმაზე მას შემდეგ წავიდა, როცა 9 აპრილს ყვარელი-ლაგოდეხის საავტომობილო გზაზე ზემოთ ჩამოთვლილმა დამნაშავეებმა ავტომანქანა „ნივის“ წართმევა დაუპირეს, მაგრამ როცა წინააღმდეგობას წააწყდნენ, ადგილზე მოკლეს ყვარლელი ძმები ზაურ და ზაალ პატარძლიშვილები.

აქ, რომ იტყვიან, ზედმეტია კომენტარი.

საქდეპამისო ოპერატიული ცნობების მიხედვით 2-9 აპრილს რესპუბლიკაში აღრიცხულია 255 სისხლის სამართლის დანაშაული, რაც 35 ერთეულით ნაკლებია წინა კვირის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის სამსახურებმა მკვლელობის 26 შემთხვევიდან უკვე გახსნეს 18, დაკავებულია 33 ყაჩაღური ჯგუფი 206 ბოროტმოქმედის შემადგენლობით, ჩამორთმეულია 28 ცეცხლსასროლი იარაღი, დადგენილი და დაკავებულია 11 ძებნილი, ნაპოვნია 4 გატაცებული ავტომანქანა... ჩამორთმეულია დიდი რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერებები.

ᲓᲦᲔ არ გავა, რომ ვინმე არ გაძარცვონ, გაქურდონ ან სულაც სიცოცხლეს გამოასალმონ. მსგავსი მოქმედებები ზოგიერთისთვის პროფესიად, ილაჯ ცხოვრების წყაროდ იქცა. ამ წყაროს ძირითადი გადამკეტი დღეს კრიმინალური პოლიციაა, რომელმაც, ზედმეტი ქათინაურების გარეშე, ამ ბოლო დროს შესამჩნევად გააქტიურა მუშაობა.

6 აპრილს დიდუბის რაიონის სამძებრო ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს თბილისელი მოქალაქეები (გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, აქაც და სხვაგანაც ბევრი გვარი დასახელებული არ იქნება), რომლებსაც ბინაში აღმოაჩნდათ ყალბი დიპლომები, მართვის მოწმობები, ყალბი ბეჭდები და „აკ“-ის სისტემის ავტომატური იარაღი.

ეს ფაქტი იმითაც არის საინტერესო, რომ კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე საქართველოში ერთობ მომრავლდნენ ყალბისმქმნელები, თაღლითები და მაქინატორები. „საბაზრო ეკონომიკის პირმშოები“ ყოველ ღონეს ხმარობენ „შავ ბიზნესში“ ჩასართველად, გასამდიდრებლად და ამ მიზნით ყალბი დოკუმენტებისა და ბეჭდების დასამზადებლადაც არ იშურებენ ძალ-ღონეს.

დაინტერესებული სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციები და დაწესებულებები მინდა გავაფრთხილო, რომ უკვე აღრიცხულია კუპონების გაყალბების რამდენიმე ფაქტი, კერძოდ, ეს მოხდა ბორჯომში: სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ბორჯომელმა მოსწავლემ ნ. მელიქიშვილმა ათნომინალიანი კუპონი ათასნომინალიანად გადააკეთა, მისცა იგი ტექნიკუმის მსმენელს მ. ნოზაძეს, რომელმაც ხსენებული „თანხით“ ვ. ცუნტურიძისაგან შეიძინა შოკოლადები და საღეჭი რეზინები. კუპონს ნელ-ნელა ერევა ხალხი. ხშირად რომ თავს დავანებოთ, ის ქართული ფულის წინამორბედია და ეს სასიხარულოა. ამასთან, კუპონი მარტივი კონსტრუქციისაა, ამიტომ ყოველმხრივ უნდა დავიცვათ იგი „დამცირებისა“ და ექსპერიმენტებისაგან.

ცნობილია, რომ ათადან და ბაბადან მოდის ავტომობილების გატაცება. თუ ადრე „ქალაქგარეთ გასეირნების მოსურნენი“ ჭარბობდნენ, ახლა „ხუფთა დამნაშავეები“ და გატაცებული ავტომანქანების რეალიზაციის შედეგად გამორჩენილი ფულით გამდიდრების სენით შეპყრობილი ყაჩაღები ჭარბობენ. თუმცა არც ადრე იყო უამისობა... პირველ ხანებში, საერთო არეულობის დროს, როცა როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს არ ცნობდა, ძნელი იყო გატაცებული ავტომანქანის „ცნობაც“ და მოძებნაც. ახლა სიტუაცია ცოტათი გამოსწორდა. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

დაკავებულია თიანეთის რაიონის დაბა ხიონში მცხოვრები, უმუშევარი დ. წიკლაური, რომელსაც ბრალად ედება ბ. ობგაიძის კუთვნილი ავტომანქანის გატაცება. ავტომანქანა მოძებნილია. ახლა მიმდინარეობს გამოძიება.

სამძებრო, საგუშაგო და თანამდებობრივ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოების მუშაკებმა მოძებნეს რუსეთის საზღვაო საცდელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის კუთვნილი სამი ავტომანქანა, რომელიც გატაცებული ეგონათ, წინამდეგილეში კი მათ ტრანსპორტის სამინისტროს № 2651 ავტოკოლონის თანამშრომლები იყენებდნენ.

ერთობ მომრავლდნენ ჯიბის, შინის, ლორის, ქათმის, ინდაურის, ძროხის, სპილენძის... ქურდები!

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ტეხასური სინდრომი-2

ახლა დაკავებული არიან ქურდები, რომლებმაც ქობულეთის საკონსერვო ქარხნის საკუჭნაოდან მოიპარეს 8 ტონა შაქარი...

პასუხს აგებენ დამნაშავეები, რომლებმაც 6 აპრილს, ღამით, კარების შემტვრევით შეაღწიეს ლანჩხუთში დალი წითლიძის სახლში და მოიპარეს მილიონი მანეთის სხვადასხვა ძვირფასი ნივთები...

„სამძებრო ბიჭებს“ ვერ გაექცა ვ. მოთიაშვილი, რომელმაც 7 აპრილს გაქურდა გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანის მცხოვრების ე. მირზოევას სახლი.

გამოვლინდნენ საგარეჯოელი ნ. ფეშალიშვილის სახლის გამქურდავებიც. პ. ჯიქიძემ და კ. ნოზაძემ აღიარეს დანაშაული. ნაქურდალი ამოღებულია.

გურჯაანის მეღორეობის ფერმიდან ხუთმა შეიარაღებულმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა გაიტაცა 10 ხუთი ღორი. აი, ხონის რაიონის სოფელ გეჯეთის მეღორეობის ფერმაში კი 21 ღორს „დაუბნელეს მზე“.

ხუთმა ბოროტმოქმედმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ქოთანწყაროს მეფრინველეობის ფაბრიკიდან 880 ფრთა ქათამი მოიპარა. ერთი ქურდი დაკავებულია. 80 ქათამი უკვე „დაუბრუნდა“ ფერმას, დანარჩენები, ალბათ, საცივში ან ცხელ ტაფაზე „განისვენებენ“..

თავის დროზე დიდი ხმაური გამოიწვია პატიმრების გაქცევამ ქსნის შრომა-გამასწორებელი კოლონიიდან. ზოგიერთმა მათგანმა ხუთთა მაერზე მიზიდველი ენერგია იგრძნო და ძარცვა-ყაჩაღობა დაიწყო. გაუმაძღრობა თავისებური ანკესი აღმოჩნდა მათ დასაჭერად. ახლა ისინი ნელ-ნელა უბრუნდებიან „პირველად დისლოკაციის“ ადგილებს. ზოგიერთს — რ. ხოხობაძეს, რ. რომანენკოს, ა. ნადირაძეს და სხვებს — ახალ დანაშაულობებშიც ედებათ ბრალი.

ამ დღეებში დააკავეს კიდევ ერთი ძებნილი თემურ მაღლაკელიძე, რომელიც 18 იანვარს გაიქცა ქსნის № 87 მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან. გაქცევის საქმეს შსს მთავარი საგამოძიებო სამმართველო აწარმოებს.

შორს ვერ წავიდნენ გორის დროებითი დაკავების იზოლატორიდან გაქცეული პატიმრებიც... რას აღარ კადრულობს ზოგიერთი უღირსი სამხედროფორმიანი! 6 აპრილს, 23 საათზე გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამორიგეო ნაწილს თავს დაესხა ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ექვსი მთვრალი ბოროტმოქმედი. მათ მოითხოვეს ორი პატიმრის განთავისუფლება, წინააღმდეგობის მიუხედავად, იარაღის მუქარით შეძლეს ეს, თან იძულებით გაიყვანეს შვიდი სხვა პატიმარიც.

ახლა უკვე ცნობილია, რომ სამორიგეო ნაწილზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ გვარდიის სამმართველოს ოპერატიული სამსახურის უფროსის მოადგილე, გვარდიის პოლკოვნიკი გელა ჩრდილელი, გვარდიელი ზურაბ გაგაური... სხვათა ვინაობა დგინდება.

ფსიქოლოგები მძიმე დანაშაულობების მატებას ზოგადად გაზაფხულის დადგომით ხსნიან, მაგრამ გაზაფხული პოლიციასაც ხომ დაუდგება?

აი ფაქტი, რომელიც, დროა, გაიცნობიეროს დანაშაულებრივმა სამყარომ.

P. S. ეს მასალა უკვე მომზადებული იყო, როცა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა ჯემალ გახოკიძემ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი მოგვაწოდა. როგორც ცნობილია, გასული წლის სექტემბერში მთავრობის გადაწყვეტილებით აიკრძალა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ფერადი ლითონების გატანა. მართალია, მაინც გააქვთ, მაგრამ პატარა დადებითი შედეგები ამ საქმეში უკვე არის. ამას წინათ დააკავეს „საქთევზმრეწვის“ ფოთის თევზსაჭერი სამმართველოს გემ „ოქტიაბრსკის“ კაპიტანი თენგიზ ბახბავა, რომელიც ეჭვმიტანილია საქართველოდან იტალიაში 210 ტონა ფერადი ლითონებისა და რუსეთში 56 ტონა ჩაის უკანონოდ გატანაში.

სულ ახლახან კი შევიტყვეთ იმერეთში, კერძოდ, სამტრედიისა და ზესტაფონის რაიონებში დატრიალებული საშინელი ტრაგედიების შესახებ.

12 აპრილს სამტრედიაში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე უმუშევარმა პაატა ჭაფოძემ „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით მუცლის არეში მძიმედ დაჭრა ფირმა „ბონგის“ პრეზიდენტი, ადრე ნასამართლევი ბონდო გოგინეიშვილი, რომელიც რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. პ. ჭაფოძე ცდილობდა რა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, შევარდა მაღალი ძაბვის ელექტროგამანაწილებელ კარადაში, სადაც მიიღო მძიმე ხარისხის დამწვრობა და მოათავსეს იგივე საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში. ჭაფოძის ახლობლებმა შეანგრიეს ქირურგიული განყოფილების კარები, რის შემდეგაც ამ უკანასკნელის ძმამ ზაზა ჭაფოძემ მოკლა ბ. გოგინეიშვილი და მიიმალა.

დაახლოებით მსგავსი ტრაგედია, ოღონდ [illegible], დატრიალდა ზესტაფონში.

ასე უსწორდება ერთმანეთს გონწართმეული ხალხი. მათ დაავიწყდათ, რომ არსებობს კანონი, სამართალი, წესრიგი... და მათი ქმედება გაცილებით დიდი დანაშაულის, უფრო მეტიც, მხეცური ელემენტის შემცველია.

„ტეხასური სინდრომი“ მთელ საქართველოს მოედო. სად არის გამოსავალი?

ზაურ მაკარაძე.

ყურადღება!

სატრანსპორტო საშუალებათა პრივატიზაცია გრძელდება

MERCURY

ამა წლის 20 აპრილს 11 საათზე საქართველოს უნივერსალური საავტომობილო ბირჟა „მერკური“ ატარებს აუქციონს.

აუქციონზე შეღავათიან საწყის ფასებში გასაყიდად გამოტანილი იქნება თბილისის ტერიტორიაზე განთავისუფლებულ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა იკარუს — 260, ზილ-130 და გაზ 52-06-ს მარკის სატრანსპორტო საშუალებები, ასევე ავტომისაბმელები.

ანგარიშსწორების ფორმა — როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა 28 აპრილამდე უნდა წარმოადგინონ განაცხადი.

გაცნობებთ ასევე, რომ ბირჟა „მერკური“ ყოველი კვირის ოთხშაბათს დღის 11 საათზე ატარებს სავალუტო ღია აუქციონს, ხოლო ყოველი კვირის ხუთშაბათს ასევე 11 საათზე ატარებს ღია საბირჟო ვაჭრობას. ვაჭრობაზე გამოტანილი იქნება ავტომანქანები და დანადგარები, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქონელი, სურსათი, სამედიცინო ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, ვიდეო და აუდიო ტექნიკა, ბინები და სხვა.

განცხადების მიღება იწარმოებს იმავე დღეს 10-დან 11 საათამდე.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს შეუძლიათ მოგვმართონ საბროკერო ადგილების თაობაზე, რომლებსაც გთავაზობთ ყველაზე შეღავათიან პირობებში.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი, № 89/24 (მეტროს სადგურ „მარჯანიშვილის“ თავზე, V სართული).

ტელ. 95-22-86; 95-97-86.

DS ENTERPRISE

ფირმა „დიოსკურია“ გთავაზობთ

პირველად საქართველოში!!! მოგზაურობას ამერიკაში, შტატი ფლორიდა.

თქვენ იცხოვრებთ ქ. მაიამი-ბიჩში ამავე სახელწოდების სასტუმროში 8 დღის განმავლობაში. ცისფერი ოკეანე, ოქროსფერი პლაჟები და ათასგვარი გასართობი თქვენს ხელთაა. თქვენი სურვილისამებრ გექნებათ საშუალება იქირაოთ სპორტული ორკარიანი მანქანა, აგრეთვე მოინახულოთ საოცარი და ზღაპრული „დისნეილენდი“.

ჯგუფი გაემგზავრება მაისის თვეში

ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან იმოგზაუროთ და დაისვენოთ ამერიკაში!!! საგზურის ღირებულება 510 ამერიკული დოლარი და თვითმფრინავის ბილეთების ღირებულება.

გთხოვთ მოგვმართოთ

ქ. თბილისი დოლიძის ქ. კორპ. 7. ფირმა „დიოსკურია“.

ან დარეკოთ:

36-00-14, 35-78-13, 11-17 სთ-მდე, 74-12-28, 18-20 სთ-მდე.

იჩქარეთ, საგზურების რაოდენობა შეზღუდულია.

საბროკერო ფირმა „666“ შეიძენს ორგანიზაციებისაგან და კერძო პირებისაგან „კავკასიის ბირჟის“ აქციებს.

ტელეფონები: 88-74-02, 10 სთ-დან 17 სთ-მდე, 22-80-88, 85-08-64, 89-58-20, 18 სთ-ის შემდეგ.

კოოპერატივი „ავტომოყვარული“ იღებს მსურველებს მოყვარულ მძღოლთა მოსამზადებლად მოკლევადიან კურსებზე: მისამართი: ლ. ასათიანის (ყოფილი ენგელსის) ქ. № 28 (თავისუფლების მოედანთან) 66-ე სკოლის შენობაში. საბუთები (სამედიცინო ცნობა „ფსიხო“ და 3 ფოტოსურათი) მიიღება 14-17 საათამდე.

ცნობებისათვის დარეკეთ: 93-84-84, 14-17 სთ-მდე. 95-96-87, 17-22 სთ-მდე.

ფირმა „ლეჩხუმი“ გთავაზობთ

თუ ზუსტი თვიური შემოსავალი 100.000 მანეთი გჭირდებათ, შეიძინეთ ფირმა „ლეჩხუმის“ დანადგარი თურქული ქაბაბისა და მწვადის დასამზადებლად.

ჩვენ შემდგომ საგარანტიო მომსახურებასაც გთავაზობთ.

ტელ: 89-02-98.

CBANK

„კაპიტალბანკი“

გიწვევთ აუქციონზე

კომერციული ბანკი „კაპიტალბანკი“ ამა წლის „20“ აპრილს 13 საათზე იურიდიულ და ფიზიკურ პირთათვის, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებებით აწყობს „კაპიტალბანკის“ სავალუტო სერტიფიკატების სააუქციონო გაყიდვას.

ბანკი ამასთანერთად დაუყოვნებლივ ახორციელებს თბილისის, მოსკოვის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლობებში სერტიფიკატის განაღდებას წარმომდგენელზე სრული ღირებულებით ამერიკულ დოლარებში. კლიენტის მოთხოვნით ანგარიშსწორება შესაძლებელია მანეთებით, კუპონებით და სხვა ვალუტით.

„კაპიტალბანკის“ სავალუტო სადეპოზიტო სერტიფიკატი - ესაა სხვადასხვა ქვეყნების იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების უნივერსალური საშუალება და თქვენი სახსრების გაუფასურებისაგან დაცვის საუკეთესო ხერხი.

მისამართი: ჭავჭავაძის პრ. 62,

ტელეფონი ცნობებისათვის - თბილისი, 222227, 294759, მოსკოვი (095) 92494822001413

სახელმწიფო შემნახველი ბანკი

საქართველოს უდიდესი კომერციული ბანკია.

მისი განყოფილებები და ფილიალები განლაგებულია ყველა ქალაქში, რაიონსა და ათასზე მეტ სოფელში.

ბანკი აწარმოებს თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით შემდეგი სახის ანაბრების მიღებას:

1) მოთხოვნამდე — დაერიცხება წლიური 3 პროცენტი
2) წარმომდგენზე — დაერიცხება წლიური 3 პროცენტი
3) ვადიანი:
   ა) ერთი წლით დაერიცხება წლიური 5 პროცენტი
   ბ) სამი წლით დაერიცხება წლიური 7 პროცენტი
   გ) ხუთი წლით დაერიცხება წლიური 9 პროცენტი

ეს საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალია, ვიდრე საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაშია მიღებული და მათი გარანტირებული გაცემა ხელეწიფებათ მხოლოდ დიდ საბანკო სისტემებს.

დღევანდელი მწვავე ეკონომიკური კრიზისის და მზარდი ინფლაციის პირობებში სავალუტო ანაბრებში სახსრების განთავსება თქვენი და თქვენი ოჯახის კეთილდღეობის საწინდარია

ხუთწლიან ანაბარზე თქვენს მიერ შეტანილი ვალუტა რვა წელიწადში გაორმაგდება, მომდევნო ხუთ წელიწადში, სამჯერ გაიზრდება, კიდევ სამი წლის შემდეგ კი ყოველი თქვენი დოლარი თითქმის 4 დოლარად გადაიქცევა და ასე შემდეგ, მუდმივად მზარდი ინტენსივობით.

იზრუნეთ თქვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალზე!

შემნახველი ბანკისაგან გარანტირებულია სავალუტო სახსრების დაცულობა, ანაბრების საიდუმლოება და მათი გაცემა პირველი მოთხოვნისთანავე.

გახსოვდეთ!

საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოცდილი და საიმედო პარტნიორის მოძებნას. თქვენ მეტი არ გჭირდებათ, შემნახველი ბანკი თქვენი უძველესი, ნაცადი პარტნიორი და მესაიდუმლეა.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემნახველი ბანკის გამგეობას მისამართზე: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №37, ტელეფონები: 95-57-01, 99-95-62 და შემნახველი ბანკის განყოფილებებსა და სამმართველოებს: თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ფოთში, გორში, კასპში, ქობულეთსა და ახალციხეში.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.

ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA

САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА